ა. ბაბაჯანიანის სახ. სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

1980 | 12 დეკემბერი, პარასკევი
№ 50 (2227)
გამოცემის 49-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: დელი. საბოლოო დოკუმენტების ხელმოწერა. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ყველაზე ჰუმანური ამოცანა

მსოფლიო კონფლიქტების ნაცვლად — მათი მოწესრიგება... ამ აუცილებლად გადასაწყვეტ ამოცანას უწოდა დღევანდელობის ყველაზე ჰუმანური ამოცანა ინდოეთში წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

ამ მშვიდობისმოყვარული ვიზიტის უდიდეს მნიშვნელობას აღიარებენ მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. დღეს, როცა დასავლეთის გავლენიანმა პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს შეზღუდვის ნაცვლად კიდევ უფრო გაამძაფრონ გამალებული შეიარაღება, საბჭოთა ქვეყნის სამშვიდობო წინადადებებს, ჩვენი პარტიისა და მთავრობის განუხრელ სამშვიდობო კურსს უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი პარტიის და მთავრობის მეთაურის ახლანდელი სამშვიდობო მოლაპარაკებანი ინდოეთში, ქვეყანაში, რომელიც „სარგებლობს საბჭოთა ხალხის გულწრფელი სიმპათიით, მისი ხელმძღვანელობის სიმპათიით“, მიმართულია არა მხოლოდ ორი ხალხის ურთიერთმეგობრობისა და თანამშრომლობის სასარგებლოდ, არამედ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობას უკვე მყარი საფუძველი აქვს. ორივე მხარემ უკვე ბევრი რამ გააკეთა ურთიერთობის განვითარებისათვის. საბჭოთა ქვეყნის დახმარებით ინდოეთმა გადალახა სიძნელენი, რომელიც კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყანას მემკვიდრეობით გამოჰყვა. განვითარდა ინდოეთის მრეწველობა, აშენდა ახალი მძლავრი მეტალურგიული ქარხნები და ჰიდროელსადგურები, გაფართოვდა მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობა. საკმარისია ითქვას, რომ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი ძალით ინდოეთში 70 ობიექტია აშენებული.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ახლანდელი ვიზიტი სიხარულს ჰგვრის მთელ საბჭოთა ხალხს, და მათ შორის ქართველ ხალხს, რომელსაც ინდოეთთან უძველესი ისტორიული ფესვები აკავშირებს. ქართული ლიტერატურის შედევრს „ვეფხისტყაოსანს“ მკითხველი პირობითად სწორედ „ინდოთქვეყანაში“ გადაჰყავს, ინდოეთის გზებზე დადიან მისი გმირები, რაც იმას ადასტურებს, რომ ეს ქვეყანა ქართველი კაცისათვის არ იყო უცხო. სწორედ ამ გარემოებამ შთააგონა ქართველ პოეტს ირაკლი აბაშიძეს შეექმნა ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელშიც შთამბეჭდავადაა გადმოცემული ინდოეთში, „რუსთაველის ნაკვალევზე“ მოგზაური პოეტის ფიქრები და განცდები. ამ ციკლში ჩვენ გვხიბლავს ქართული პოეტური აზროვნების ორგანული კავშირი უძველესი ქვეყნის კულტურასთან და ფილოსოფიასთან. როგორც ცნობილია, ირაკლი აბაშიძის ამ ციკლმა ფართო აღიარება მოიპოვა თვით ინდოეთშიც, რაც იმითაც დადასტურდა, რომ ქართველ პოეტს ჯავაჰარლალ ნერუს პრემია მიენიჭა.

ჩვენი მკითხველი დღეს თავის მშობლიურ ენაზე კითხულობს დიდ ინდოელ მოაზროვნეთა და პოეტთა საუკეთესო ქმნილებებს. თარგმნილია „რამაიანა“, რაბინდრანათ თაგორის „ბენგალია“ და „გიტანჯალი“, ინდური ეპოსი „ბჰაგავატგიტა“, შუა საუკუნეების ინდური საგალობლები, ახალი ინდოეთის მოაზროვნეთა წერილები, მათ შორის დამოუკიდებელი ინდოეთის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჯავაჰარლალ ნერუს წერილები.

ინდოეთის უძველესი და უახლესი კულტურა კაცობრიობას მუდამ ხიბლავდა სწორედ თავისი დიდი ჰუმანიზმით, კაცთმოყვარეობით, სიკეთის გამარჯვების ურყევი რწმენით, ადამიანის პატივისცემით.

ახლანდელი ვიზიტი ჩვენი პარტიისა და მთავრობის მეთაურისა, სწორედ „ყველაზე ჰუმანური ამოცანის“ სულისკვეთებითაა განმსჭვალული, რადგან, „გაცილებით გონივრულია — თუმცა კი, შესაძლოა, არცთუ ისე ადვილი — მტკიცედ და თანმიმდევრულად, პროვოკაციების, ძალდატანებისა და შანტაჟის მიუხედავად იცავდე მშვიდობას, და საკუთარი ხალხის უშიშროებას და კეთილდღეობას სხვა ხალხებთან მშვიდობიან, თანასწორუფლებიან თანამშრომლობაზე აგებდე“.

მთელი მსოფლიოს მილიონობით ტელემაყურებელი ადევნებს თვალს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგზაურობას ინდოეთში, რომელიც განმსჭვალულია მშვიდობის სულისკვეთებით. მთელ მსოფლიოს აღელვებს თუ როგორი იქნება ხვალინდელი დღე, როგორ გაიმარჯვებს ის საღი პოლიტიკა, რასაც საბჭოთა ქვეყანა განუხრელად, მტკიცედ და დროის მოთხოვნის შესაბამისად თანმიმდევრულად ანვითარებს. ამ ვიზიტის სწორედ მსოფლიო მნიშვნელობას გაუსვა ხაზი ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ს. რედიმ, რომელმაც მიმართა ამხანაგ ბრეჟნევს:

„ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც ამ წლებში დამყარდა, არ ყოფილა მიღწეული რომელიმე სხვა ქვეყანასთან მეგობრობის საზიანოდ. ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობა ემყარება ნდობისა და ურთიერთგაგების პრინციპებს“.



აკაკი წერეთლის დაბადების 140 წლისთავი

დიდი ეროვნული პოეტი

გრიგოლ აბაშიძე

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მოსაგონარი თარიღები ერთი მეორესთან ახლო არიან და მათი საიუბილეო დღესასწაულები ერთმანეთს მიჰყვებიან.

ახალი ქართული ლიტერატურის ამ ორი ფუძემდებლის შემოქმედება და ღვაწლი ისეა ერთმეორეს გადაჯაჭვული, ისე გაიერთიანა ჩვენმა ხალხმა მათი სახელები თავის ხსოვნასა და წარმოდგენაში, რომ ცალ-ცალკე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თითოეულ მათგანზე ლაპარაკი თითქმის არც ხერხდება.

ჩვენი ერის ამ ორმა დიდმა შვილმა, თავიანთ თანამებრძოლებთან ერთად, საძირკველი ჩაუდგა ახალ საქართველოს, გაადვიძა ჩვენი ხალხის მიძინებული ეროვნული შეგნება; მათ დაიცვეს და განავითარეს დეკნილი და შეგინებული ქართული ენა და წინსვლისა და ეროვნული აღორძინების გზაზე გამოიყვანეს გადაგვარების პირას მისული ქართველობა.

მწერლობას სხვა მცირერიცხოვანი ერების ისტორიაშიც უთამაშია მნიშვნელოვანი როლი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დიდი ქართველი მწერლების ღვაწლი მშობელი ერის წინაშე მართლაც რომ უნიკალურია და სახეოურს უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ კეთილშობილი ვალის მოხდასა და სამშობლოს დიდებისათვის თავდადებულ სამსახურს.

ილია ჭავჭავაძის მსგავსად აკაკი წერეთლის ეროვნული ღვაწლი მრავალმხრივია, მაგრამ მისი მოღვაწეობის არც ერთ ნაყოფს ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში ისე ღრმა კვალი არ აღუბეჭდია და ისეთი გავლენა არ ჰქონია, როგორც მის პოეტურ სიტყვას.

იგი ნახევარი საუკუნის მანძილზე მოკალმახე ბერივით საქართველოს კუთხიდან კუთხეში მოგზაურობდა, ხალხში თავისი ღვთაების — სამშობლოს სიყვარულს აღვივებდა და ყველგან იმ გმირების მოსვლას წინასწარმეტყველებდა, რომელთაც ამირანის ბორკილები უნდა დაემსხვრიათ.

„არა, აყვავდეს იმედი, გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა, გმირებს დაქმებს, უყვიის ჩემი დაფი და ნაღარა“...

გაიძახოდა მგოსანი და თვითონვე ხსნიდა მის მიერვე გამოგონილ ალეგორიას:

„კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი, არის მთელი საქართველო და მტრები კი ყვავ-ყორანი. მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“.

სამშობლოს სამსახური, მისთვის თავდადება პოეტს მიაჩნდა თავის ერთადერთ მოწოდებად, იგი ყველა სიმდერასა და სათქმელს ამ ერთ აზრში უყრიდა თავს, ბოლოს თითქმის მხოლოდ სამშობლოს თავისუფლებაზე ლაპარაკობდა, და მოხდა საოცრება, რომელიც ძნელად გამეორდება. მთელი საქართველო მისი ლექსებით ამდერდა და მთელმა ერმა სამშობლოს იდეა მისი სახით ხორცშესხმულად წარმოიდგინა. ამიტომ იყო, რომ ხალხი მის გამოჩენას ღმერთის გამოცხადებასავით ხვდებოდა, ეგზალტირებული მლოცველებივით მუხლზე ეცემოდნენ, მის ეტლში ცხენების მაგივრად ებმებოდნენ და ხელში აყვანილ მგოსანს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში სახწაულთმოქმედი ხატივით დაატარებდნენ.

ეროვნული გამოფხიზლების იდეა აკაკის მთელ შემოქმედებას გაჰყვა ლეიტმოტივად. იგი ამ იდეას პირდაპირ, შეუნიღბავადაც ქადაგებდა, მაგრამ იქ, სადაც ცენზურის დაბრკოლება უნდა გადაელახა, პოეტი ალეგორიას მიმართავდა, სამშობლოს ხან სატრფოდ წარმოგვიდგენდა, ხანაც ქაჯების მიერ შეპყრობილ ნეხტანად გვიხატავდა:

„შვენიერო, შენ გეტრფი, შენი მონა ერთგული, შენთვის სულდგმული, შენგანვე, შენთვის მიდგერს ეს გული! მეგულები ციხეში, ცხრაკლიტულში მჯდომარე... შეთვისებას გიპირებს გაიძვერა მოყვარე! ტკბილად გაშმევს, ტკბილს გასმევს, შეზავებულს ბანგითა, დედის ხმაზე გიმღერის დედინაცვლის პანგითა. გაუფრთხილდი, ნუ გჯერა, მაგის ტკბილი „ნანინა“...

აკაკის ლირიკის უმთავრესი თემა პატრიოტიზმია. მან სამშობლოს ის ჯანსაღი ხიყვარული იქადაგა, რომელიც საკუთარი ერისთვის თავდადებასთან ერთად ხხეა ხალხების პატივისცემასაც გულისხმობდა.

მან არაერთხელ განმარტა ერის, სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლის საკაცობრიო მნიშვნელობა, არაერთხელ დაგმო კოსმოპოლიტობა და ბრწყინვალედ დაიცვა ერის თვითმყოფობის იდეა.

მშობელი ერის თავდავიწყებული სიყვარული და სხვა ხალხების პატივისცემის მაღალპუმანური იდეა აფორისტულად გამოთქვა მგოსანმა და პატრიოტიზმის და ინტერნაციონალიზმის იდეა შესანიშნავ პოეტურ ფორმულად ჩამოაყალიბა:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა.

ამ ხატის სამსახურად აკაკიმ მოიხმო ქართველი ხალხის გმირული ისტორია. ეროვნული სიამაყის გრძნობის გასაღვიძებლად, ერისათვის თავგანწირვის ისტორიული მაგალითების მოშველიებით აკაკიმ არა მარტო თორნიკესა და ცოტნეს, თამარისა და ქეთევანის, ხაკაძისა და პატარა კახის აჩრდილები გააცოცხლა, არამედ თავის თანამედროვეებსაც მათი გმირული სული შთაბერა და ახალ თაობებს სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირვა ჩაგონა.

აკაკისათვის ,ადამიანობის საზომი სამშობლოს სამსახური იყო. ბრწყინვალე წარმოშობის, წარმოსადეგი გარეგნობისა და შესანიშნავი აღზრდის წყალობით მას შეეძლო ჩინ-მედლებიც უხვად მიეღო, დიდი კარიერაც გაეკეთებინა და სიბერეც უზრუნველი ჰქონოდა.

პირადი ბედნიერებისაკენ მიმავალი ეს ოლი გზა მან სიყრმიდანვე დაგმო და არამარტო თვითონ არ გაჰყვა მას, ისინიც სამუდამოდ შეიძულა, ვინც განდიდებას ეხწრაფვოდნენ და სამშობლოს უბედურებას საკუთარ უბედურებად არ განიცდიდნენ.

ასეთ ადამიანებთან დამოკიდებულებაში აკაკიმ კომპრომისი არ იცოდა და ზოგჯერ ისეთ პიროვნებებსაც გასწირავდა, რომელთა პატივისცემას გულში ფარულად ატარებდა.

თერგდალეულმა პოეტმა ხიკვდილამდე არ კარგი გრიგოლ ორბელიანს მეფის ნაცვლის მოადგილეობა და, თუმცა მისი მუხამბაზური პოეზიისაგან თავადაც დიდად იყო დავალებული, არაერთხელ სტაორცნა ეგისლიანი ისარი „ხარაბუზა დენერალს“.

აკაკიმ არაერთი ლირიკული შედევრით გაამდიდრა ქართული პოეზია. ძველი რელიგიური ჰიმნების მსგავსად ზოგჯერ ძნელად გამოსაცნობია მისი სატრფიალო ლირიკის ნამდვილი ადრესატი, ბევრ მის ლექსში სამშობლოს ცნება განყენებულ წარმოდგენას სცილდება და ამქვეყნიური ცოცხალი სატრფოს სახით გვეცხადება.

აკაკიმ რამდენიმე პოემაც შექმნა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „თორნიკე ერისთავი“ და „გამზრდელი“.

პირველში პოეტმა წარსულის დიდებას, ჩვენ გმირ წინაპრებს უმღერა, ხოლო მეორეში ზნეობის, მორალის პრობლემები დააყენა. ერთიცა და მეორეც დღემდე ქართული პოეტური ეპოხის კლასიკურ ნიმუშებად, ჩვენი ხალხის ყველა თაობისათვის საყვარელ ქმნილებებად რჩებიან.

აკაკის შესანიშნავი პროზაცა აქვს, ამ პროზაში პატიოსანი თვალის ელვარებით გამოირჩევა მისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ჩემი თავგადასავალი“.

მოხუცი აკაკი ტექნიკის ერთ დიდ სახწაულსაც მოესწრო — გრამოფონის ფირფიტამ შთამომავლობას მისი ძვირფასი ხმა შემოუნახა. ამ ხმის გაბზარულობა დაუძლურებული მგოსნის ფიზიკურ უღონობასთან ერთად ხმის ჩაწერის მაშინდელი ტექნიკის სიხუსტეზეც მეტყველებს, მაგრამ ძნელია თვალზე ცრემლის შეკავება, როცა ათეული წლების მიღმიდან მოხუცი წინასწარმეტყველის ღაღადისი მოგესმის:

„ცა-ფირუზ, ! ხმელეთ-ზურმუხტო, სულის ჩამდგმელო მხარეო, შენი ვარ, შენთვის მოვკვდები შეუნზედვე მგოლოვიარეო! ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, ზე კალთა დამაფარეო, და რომ მოკვდები, გახსოვდეს ანდერძი დაგიბარეო: „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო... ცა-ფირუზ, ! ხმელეთ-ზურმუხტო. ჩემო სამშობლო მხარეო!“.

ასეთი ინტიმით საქართველოს ხიყვარული ხხვან არავის უმღერ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ინდური პოეზიიდან

სამშობლო

სამშობლოვ, სული მწყურვალივით
შენსკენ იჩქარის,
დედის სითბო აქვს
შენს მთა-გორებს... ჯვარი გწერია!
არ ვიცი კარგად,
ღარიბი ხარ თუ ხარ მდიდარი,
მხოლოდ ვიცი, რომ
შენს ნიაღში ბედნიერი ვარ.

სხივი კი არა,
სიხარული მონვეთსვს ციდან,
მთვარით ნაფერი მდელოები
ქარში მღერიან.
სულზე უტკბესო,
აქ ვიხილე ნათელი წმინდა,
მისი მხილველი
სამუდამოდ ბედნიერი ვარ!

შუადღე

წიგნიდან „მოსავლის აღება“

შუადღე. სიცხე. მდუმარება,
დამშრალ დინების დაბზარული, მოთეთრო ფსკერი.
თვლემს ყანჩა ჩაფლულ ნავის კიჩოზე.
სანაპიროზე ორი ძროხა მიიზანტება.
აღებულია მოსავალი.
ნელა შეტოპა მდინარეში ვეება ხარმა.
იქვე პალოზე მიბმულია ვიღაცის ნავი.
ირგვლივ არავის ჭაჭანება. მდუმარებას
უფრო ამძაფრებს სიცხისაგან შენუხებულ ყვავთა ყრანტალი.
ნაყანევიდან მდინარისაკენ
მძიმედ მიფრენენ მტრედისფერი კუტკალიები.
მწვანე მორევში დაცურავენ თეთრი გედები —
მონვეთავს წყალი მეწამული ნისკარტებიდან.
ზოგჯერ უეცრად მოფრენილი ნიავის ფრთებზე
აშრიალდება ჩამხმარი ველი.
ხან ხმაჩახრინწულ სოფლის მყეფრების ისმის ღაღვავი,
ხანაც ხმა — შორი სიმღერების, ხან ჩიტთა სტვენა,
ხან კი — ფოთლის წყნარი შრიალი.
ზოგჯერ მტრედისფერ, მოწმენდილ ციდან
ჩამოიშლება ქორის ყივილი. ზოგჯერ
ნაღვლიან სიმივით კვნესის დაჭიმული თოკი ნავისა.
ამ ხმათა გაბმულ გალობაში
რამდენია მწუხარება გამოუთქმელი!
ტყეთა სირბილე, ჩრდილთა სინაზე,
სოფლის სიმშვიდე, დღე უღრუბლო, ჩაწყნარებული.
გარემოცული ამ სიმშვიდით — აღარა ვნაღვლობ
იმ მხარეზე, მე რომ დავტოვე. მინდა შევერწყა
ყოველივეს, ირგვლივ რაცაა. თითქოს
დიდი ხნის განშორებული კვლავ დავუბრუნდი
მშობლიურ მხარეს. თითქოს ამათთან,
ამ ფრთოსნებთან, ამ ბალახებთან,
ერთად დავბრუნდი შორეული ხეტიალიდან,
კვლავ მივაკვლიე მონატრებულ ცხოვრების დილას,
პირველი სხივის ამოწვრვას. ახლა, ვით ბალღი
ვეპოტინები ცასა და ქარებს, წყალსა და მიწას.
მივიწევ დედის მკერდისაკენ, თითქოს პირველად
ახლა შევიტკბე სიხარული მიწიერ ყოფნის.

თარგმნა თეიდო ბექიშვილმა

რაბინდრანათ თაგორი



დიდი ეროვნული პოეტი

(დასასრული)

რია, არც ასეთი ძუნწი, მაგრამ ყოვლისმომქმელი ზუსტი პოეტური სახეები მოუშველებია ვისმე სამშობლოს ცისა და მიწის სადიდებლად.

„აკაკი წერეთლის „განთიადი“ საქართველოს სიყვარულის განუმეორებელი ჰიმნია და მის შემქმნელ მგოსანს უფლება ჰქონდა ეთქვა:

„გული დაადნა შენს სიმებს და სული დაიცალაო“.

ამ ლექსში საქართველოს პეიზაჟი სულ ორი სიტყვითაა დახატული („ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“), მაგრამ ისე ძლიერად, რომ კაცის გონებიდან აღარ ამოდის. ასეთი ლაკონიური ხატვა, ფუნჯის ერთ მძლავრ მოსმასა ბგავს და ფერწერის დიდოსტატებსაც შეუშურდებოდათ.

ამ ლექსში ყველა სიტყვა თავის ადგილზეა, თითოეული მათგანი თავისთავად ერთადერთსა და აუცილებელს წარმოადგენს, ხოლო აზრი და მუსიკა, შინაგანი წვა და მღელვარება პოეტური შესაძლებლობის ჩვეულებრივ საზღვრებს სცილდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პოეტს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამისათვის უმღერია, რომ ბოლოს ეს სრულყოფილი შედევრი შეექმნა, რომელსაც ქართულ პატრიოტულ ლირიკაში ბადალი არა ჰყავს.

საინტერესოა ამ ლექსის შექმნის ისტორიაც. იგი პოემა იმ დიდი მღელვარების შთაგონებით შექმნა, რომელმაც მაშინდელი საქართველო მოიცვა, ცარიზმის მიერ დიმიტრი ყიფიანის ვერაგული მოკვლის გამო. სტავროპოლიდან დ. ყიფიანის გადმოსვენება, და მთავრობის განკარგულების საწინააღმდეგოდ თბილისში გამართული პროცესია დიდი საპოტენციალო პოლიტიკური აქტი იყო. აკაკი ამ პროცესიას წინ მიუძღოდა და მთაწმინდაზე სიტყვაც წარმოუთქვამს დიდი ეროვნული მოღვაწის საფლავთან. ამ პოლიტიკური დემონსტრაციის გამო მეფის სატრაპი დონდუკოვ-კორსაკოვი უმაღლესი მთავრობის წინაშე აბუზღუბს აკაკი წერეთელს და მას ღვარძლიანად სახაფლაოს ნაფიც ორატორს — უწოდებს.

მეფის ნამეტნაკის ვერ გაუგია ქართველი ხალხის ეროვნული გამოფიზიზლების ამ მრავალსიმეტყველი დემონსტრაციის ღრმა აზრი, ხოლო ამ დიდი პოლიტიკური მოვლენის დამაგვირგვინებელი აქტი — აკაკის უკვდავი ლექსი „განთიადი“ მისი ინტერესის მიღმა დარჩენილა.

მეორე მსგავსმა სიტუაციამ — ილია ჭავჭავაძის მოკვლამ — აკაკი წერეთელს არა მარტო ორატორული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში — დაღუპულ მეგობართან გამოსათხოვარი სიტყვა, არამედ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსიც ჩააგონა:

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას და ნუ ამბობთ რაც არ მჯერა! ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა?“ — ალმოხდა ილიას მკვლელობით შეძრწუნებულ პოეტს.

„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც მასთან ერთად უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჩვენთან, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ!“-ო. მიმართავდა აკაკი დაღუპული თანამებრძოლის ცხედარს.

საგულისხმოა ვერაგულად გახროლილმა ტყვიამ ქართველი ერი შესძრა და ფეხზე დააყენა. შურისძიების გრძნობით აღგზნებული ხალხი დაცემული ბელადის თანამებრძოლის ირგვლივ შემოკრება და ცოცხლად დარჩენილი მეთაური დროშასავით მაღლა აიტაცა.

ქართველმა ხალხმა დიდი დიდებით იზეიმა აკაკის იუბილე და იმ სიყვარულში, რომელიც მას მიუძღვნა, ის სიყვარული და აღტაცებაც ჩააქსოვა, რომელიც ილიასაც ეკუთვნოდა.

იმ დროს, როცა ქართველ ხალხს არც მთავრობა ჰყავდა, არც რაიმე ხახელმწიფო დაწესებულება ჰქონდა, რომელიც ერის სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე იზრუნებდა, ეროვნულ გამათავისუფლელი მოძრაობის მეთაური ქართველი მწერლები სწევდნენ ყველას მაგივრობას: ეურნალი და გაზეთიც მათ უნდა გამოეცათ, თეატრის რეპერტუარიც მათ უნდა შეედგინათ და დასახასათვისაც მათ უნდა ეხელმძღვანელათ, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც ისინი უნდა ჩადგომოდნენ სათავეში, ხალხური სიტყვიერების შეგროვების თაოსნობაც მათ უნდა გამოეჩინათ. ჩვენი დიდი მგოსანიც ყველა ამას დიდი ბალისითა და დაღუბარელი შრომით, აუნაზღაურებელი შრომით აკეთებდა. ხშირად აკაკის ბევრი ისეთი ფაქი სამუშაოს შესრულება უხდებოდა, რაზედაც სხვა სვეტიდნელი ქვეყნის პოეტი არ მოცდებოდა, მაგრამ აკაკისათვის არ არსებობდა დიდი და პატარა, მაღალი და დაბალი საქმე და მოვალეობა. სამშობლოს ერთგული ჯარისკაცისათვის საამაყო და სასახელო იყო ყოველგვარი გარჯა, რაც ერის გამოფიზიზლებას, მისი წინსვლისა და განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდა. აკაკი წერეთელი ამაოდ როდი დამშვრალა, თავისი ბრწყინვალე ნიჭის დიდი ნაწილი რომ ერის საჭირბოროტო ყოველდღიურობას მოახმარა.

ერის წინამძღოლობა შავი სამუშაოს შესრულებაშიც, ღორღისა და ეკალბარდისაგან გზის გაწმენდაშიც მაგალითის მიცემას მოითხოვდა და აკაკი წერეთელი უყოყმანოდ ხარჯავდა თავის ძალღონეს ერის ყოველგვარი საჭიროებისათვის. დიდი მამულიშვილისა და ბრწყინვალე პოეტის ამ მხხვერპლს ჩვენ იმ მოვალეობის სიმაღლიდან უნდა შევხედოთ, რომელიც აკაკიმ თავის თავს დაუსაზა; და რომლის აღსრულებაც მას სიკვდილამდე მიეჩქვა თავის უპირველეს მოწოდებად.

აკაკი წერეთლის მიზნები წმინდა და მაღალი იყო და რახან ამ მიზნებმა გაიმარჯვეს, ყველაფერი ამ გამარჯვების სამსხვერპლოზე მიტანილი ჩვენთვის, შთამომავლობისათვის წმინდად და უკვდავად შესარაცხი უნდა იყოს. „განთიადისა და „ქებათა-ქების“ ავტორს შეეძლო ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის საგანძური თავისი შედევრებით გაემდიდრებინა, მაგრამ პატარა ჩაგრული ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურობაც თავისთავად დიდი საკაცობრიო საქმეა და ამ მხრივ ენა ვერ მოგვიბრუნდება ჩვენი დიდი წინაპრების სახაყვედურად. ნაყოფიერება გენიალობის ერთ-ერთი ნიშანია. აკაკი წერეთელი ძალიან ბევრს წერდა. ბევრს რამეს, რაც ყოველდღიური საჭიროების კარნახით ჰქონდა დაწერილი, თავად მგოსანი მნიშვნელობა დაკარგულად თვლიდა. ამ მხრივ იგი თავისი მემკვიდრეობის მამართ ზედმეტ სიმკაცრესაც იჩენდა, მაგრამ ისეთი დიდი განძის პატრონს, როგორიც აკაკი წერეთელი იყო, შეეძლო ამგვარი ხელგაშლილობა. მისი სალარო იმდენად მდიდარი იყო პოეზიის ჭეშმარიტი მარგალიტებით, რომ მნიშვნელოვანი დანაკარგიც კი მისი აურაცხელი სიმდიდრისათვის კვალის დამჩნევი ვერ გახდებოდა.

აკაკი წერეთელი ერთადერთი შემოქმედი იყო იმ დროში, პოეტობა რომ პროფესიად გაიხადა. პოეტი ერთთავად სულ ხალხში ტრიალებდა და თავისი გონებამახვილობის ნაპერწკლებს უხვად ანნევდა. ამ გარემოებამ შექმნა მითი პოეტის უდარდელსა და უზრუნველ ცხოვრებაზე. ბოლო დროს გამოქვეყნებული აკაკის წერილები ცოლ-შვილისადმი უარყოფენ ჩვენს ამ წარმოდგენას და ფარდას ხდიან მგოსნის ტრაგედიას, მარტობას, პერმანენტულ ხელმოკლეობასა და პირად ცხოვრების მოუწყობლობას. სხვანაირად ალბათ არც უნდა მომხდარიყო: დიდი იდეების ფანატიკოსებსა და თავდადებულ მსახურთ პირადი ბედნიერება იშვიათად მოსწრებიათ.

აკაკის თვითონ სძულდა ბედნიერებით ყელამდე ავსებული თვითკმაყოფილების უზრუნველი გაბღენძილობა და ალბათ პირად უბედურებასაც შერიგებული იყო. იგი ალბათ არც იმდენ ყურადღებას აქცევდა თავისი პირადი ცხოვრების მოუწესრიგებლობას. სამშობლოსადმი სიყვარული მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთადერთი აზრი იყო და ბოლოს ხომ ეს მიზანი პოეტის სარწმუნოებად, მისი არსებობის ერთადერთ გამართლებად იქცა.

აკაკი პეშმარიტ პატრიოტიზმს ქადაგებდა, სამშობლოს ისეთ უანგარო სიყვარულსა და სამსახურს, რომლის მაგალითსაც თვითონ ინძლეოდა. იგი სასტიკად ამათრახებდა ცრუპატრიოტებს, რომლებიც საკმით მხოლოდ პირად ბედნიერებაზე ზრუნავდნენ და სამშობლოს მხოლოდ სუფრაზე იხსენიებდნენ. მან არა ერთი გესლიანი სტრიქონით ბაკალეა სუფრის პატრიოტები. აი რას ვკითხულობთ ერთ ლექსში, რომელსაც ავტორმა „ქართული პატრიოტობა“ უწოდა:

„როდესაც ჩემს წინ სუფრაზე ცხელი შუშხუნა მწვადია, მაშინ მე სამშობლოსათვის ყოველი კარგი მწადია. როცა გადავკრავ ნუნუას თას-ყანწით, გინდა კულითა, მაშინ მეც ზეცას ვავედრებ, ამ ჩემს სამშობლოს გულითა. როდესაც ვეტრფი ქართველ ქალს, ვეძლევი ნეტარებასა... ვეღარა ვფარავ!.. სახალხოდ ვამბობ ჩემს აღსარებასა. „შრავალ-ჟამიერ! ჟამიერ ჩვენს ტურფა — საქართველოსა!“ ვიტყვი და შეუპოვარად გადავკრავ სადღეგრძელოსა... თუ გსურთ, რომ დავრჩე ქართველად ვიხდიდე მშობლურ ვალებსა ნუ გამომილევთ ღვინოსა ცხელ მწვადს და ლამაზ ქალებსა!“...

ჩვენი დროის მკითხველი აკაკის მიერ გაკეცხულ ცრუპატრიოტებში დღევანდელი სუფრის პატრიოტების სულიერ წინაპრებს ცნობს და ესეც აკაკის პოეზიის უბერებლობას მოწმობს.

აკაკი წერეთელმა, ილიასთან ერთად, ქართულ პოეზიაში ფართოდ შემოუშვა დემოკრატიული ნაკადი. იგი ილიაზე შორსაც წავიდა. თუ ილია ამბობდა:

„მე ცა მნიშნავს, და ერი მზრდის მიწერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ: რომ წარვუძღვე წინა ერსა“. — აკაკიმ პოეტის ზეციერი წარმომავლობაც უარყო. შემომქმედი ღრუბლებიდან ძირს ჩამოიყვანა და ცისა და მიწის უბრალო შუაკაცობა დააკისრა:

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ესა ვარ, არც ისა! გარემოების საყვირი, არც მიწისა ვარ, არც ცისა“.

გარემოების საყვირად პოეტის გამოცხადება საერთოდ იყო უცხო პოეზიისათვის და მხოლოდ აკაკეთან მაღალი ნიჭის მქონე მგოსანს შეეძლო პოეტის ამ ანსელი მოწოდების გამართლება. აკაკი მარტო ელიტისათვის არ წერდა და მხოლოდ წმინდა პოეზიას არასოდეს ემსახურებოდა. იგი ერის სულიერი წინამძღოლი იყო და ამიტომაც მთელი ერისათვის მისაწვდომი გასაგები ლექსით უნდა ეკადაგა. მან არამარტო უაღრესად დაუახლოვა თავისი ენა ხალხის სასაუბრო ენას, არამედ მხატვრული სახეებიც ხალხისათვის ადვილად აღსაქმელი მოიშველია და ყოველივე ეს ისე ბუნებრივად შესძლო, ისეთი ოსტატობით მიაღწია სისადავეს და უბრალოებას თავის საუკეთესო ლექსებში, რომ ამით არა თუ დაკლო თავის პოეზიას, არამედ მას ახალი უმაღლესი ხარისხი შესძინა.

იშვიათი გონებამახვილობა და ხატვის კონკრეტულობა, ლექსის კეთილხმოვანება და ლაღი, ბუნებრივი მდინარება, ენის ხალხურობა და აზრის გადმოცემის მისაწვდომობა, ის თვისებები აღმოჩნდნენ, რომლებმაც აკაკის პოეზია ბავშვებისათვის საყვარელი და ახლობელი გახადეს.

აკაკის შექმნა საყმაწვილო პოეზიის რამდენიმე ნიმუში, რომლებიც დამსახურებულად არიან აღიარებულნი ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკად და რომლებიც იაკობ გოგებაშვილიდან მოყოლებული დღემდე ამშვენებენ ჩვენს სასკოლო სახელმძღვანელოებს.

აკაკის პოეზიის ამავე ნიშნებმა უზრუნველყვეს მისი თარგმანების უმაღლესი ხარისხი.

ამ მხრივ მართლაც სანიმუშოა კრილოვის იგავ-არაკების აკაკისეული თარგმანები.

აკაკიმ უბრალოდ კი არ გადმოაქართვა კრილოვის არაკები, ამ თარგმანში მან შეიტანა ქართული ფოლკლორის ელემენტები, რუსული იგავების გმირთა ხასიათი ქართულს დაუახლოვა და ამით ეს თარგმანები იმ თავითვე აქცია ქართული პოეზიის, ქართული ლიტერატურის ფაქტად.

აკაკი თავისი დროის მოწინავე მოძრაობისაგან ჩამორჩენილი არაოდეს ყოფილა. მას სიახლის გამაჟვილებული გრძნობა მუდამ ჰქონდა და ამიტომ იყო რომ ცხრაასიანი წლების საზღვრიდან ოქტომბრის რევოლუციურ მოძრაობას აღტაცებით შეხვდა. მან ამ მოძრაობაში თავისი მშობელი ხალხის ეროვნულ და სოციალური განთავისუფლების საწინდარი დაინახა და არა მარტო საკუთარი აღფრთოვანებული ლექსები მიუძღვნა ახალ თაობებს, არამედ რევოლუციური პროლეტარიატის ბიმნის „ინტერნაციონალის“ ტექსტიც თარგმნა და ეყენ პოტიეს ეს ლექსი პირველად ააღერა ქართულად.

ბეშპარიტი პოეზიით ტკბობა თურმე ახალთან და ცხოვრების გამოცდილებასთან ერთად მოდის. მას ძველი, კეთილშობილი ღვინის ის თვისებები აქვს, რომელსაც ჯეროვნად მწოლოდ ვემოგახსნილი ადამიანები აფასებენ.

იყვნენ ჩვენნი პოეტები, რომლებიც ძველის გადაფასებას აკაკის მემეკვიდრეობით იწყებენენ, მაგრამ ჩვენ ვიყავით იმის მოწმენიც, თუ როგორი თაყვანისცემითა და მოწიწებით იმსჭვალებოდნენ ისინი აკაკის პოეზიისადმი უფრო გვიან, როცა წლებს მათთვის აზრის სიმწიფე და განსჯის ობიექტურობის უნარი მოჰკონდა.

მრავლის თქმელია ის ფაქტიც, რომ ჩვენი საუკუნის უდიდესმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ თავის წინაპრად სწორედ აკაკი წერეთელი აღიარა.

აკაკის გაკვეთილი დიდად საგულისხმოა ჩვენი დროის ქართული მწერლობისათვის. მან აღორძინა და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ქართული სამოკალაქო პოეზია, რომლისთვისაც არაფერი არ იყო უცხო, რაც ხალხის სამსახურს გამოადგებოდა, არც პუბლიცისტიკა და პოლიტიკური სიმახვილე, არც პატრიოტიზმის მაღალი იდეების პროპაგანდა.

ამ მჯრივ დღევანდელ ქართულ პოეზიას ნიმუშად და მისაბაძ მაგალითად უნდა ჰქონდეს აკაკის გაკვეთილი.

მშობელი ხალხის უანგარო, თავდადებული სამსახურიც ის მაგალითია, რომელიც ქართული მწერლობის ყველა თაობისათვის მისაბაძად დარჩება მომავლამდე.

უსაზღვროა აკაკის დამსახურება სამშობლოს წინაშე. მისი გულში ჩამწვდომი ლექსები დღესაც ამკარგავენ თავიანთ ცხოველმყოფელობას, მათ ჩვენი ხალხის ყველა თაობა სკოლის მერხიდანვე ითვისებს და დღემდე სასიმღერად აქვს აღაცებული.

მადლიერმა მშობელმა ხალხმა თავის საყვარელ პოეტს თავის გულსა და ხსოვნაში არდავიწყების ძეგალი აუგო და ამის დამადასტურებელია პოეტის დღევანდელი იუბილეც.

ახალი დიდი გამარჯვებებით დამშვენებული ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი ხალხი ღირსეულს მიუზღავს ყველას, ვისაც ჩვენი ენის, ჩვენი მწერლობის აღორძინებისა და აყვავებისათვის თავი დაუდვია, ამაგი გაუწევია.

ასეთ თავდადებულ წინაპართა შორის აკაკი წერეთელი ერთი პირველთაგანია და ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ საშუალება გვაქვს მისი ღვაწლი ღირსეულად დავფასოთ.

ყველაზე დიდ პატივისცემას წარსულის დიდი ადამიანებისადმი ჩვენ მაშინ გამოვხატავთ, როცა მათ ჩვენს თანამედროვეობად ვთვლით. მათდამი ასეთი დამოკიდებულებით ჩვენ ვაღიარებთ, რომ ისინი ცოცხლები არიან და ჩვენთან ერთად იბრძვიან.

აკაკიც დიდი პოეტების იმ ბედნიერ რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც მომავალი თაობების თანამედროვეობად რჩებიან, არასოდეს არ ბერდებიან და არა კვდებიან.

აკაკი უკვდავია, რადგანაც უკვდავია მისი მშობელი ხალხი და მისი მშობლიური ქართული ენა.

ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი ხალხი მარტო დღეს და ხვალ კი არა, თავის მარადიულ სიცოცხლეშიც, თავის შორეულ მომავალშიც სახოობით წარმოთქვამს თავისი სამშობლოსა და დედაენის სადიდებლად აკაკის მღელვარე სტროფებს:

არც მუყარებია, არც მიყვარს,
არც მნდომებია, არც მინდა,
არც მწამებია, არცა მწამს
შენს გარდა კიდევ სხვა
წმინდა!

სინათლე და სიამაყე

ნოდარ დუმბაძე

მზესა და გენიოსებს ორი საერთო თვისება აქვთ: ორთავე საოცრად ნათელია და ორთავე სიცოცხლის შემოქმედი. ახლა მე მზეზე კი არა, აკაკიზე მოგახსენებთ.

ალბათ, 7 თუ 8 წლის ვიქნებოდი, კარგად არც კი მახსოვს, აკაკის „განთიადი“ რომ მასწავლეს. ვისწავლე და გავვოცდი, გავვოცდი იმიტომ კი არა, რომ აკაკის გენიოსობა შევიგრძენი, არა —ავხედე ცას და ფირუზის ფერი იყო, დავხედე ხმელეთს და ზურმუხტის ფერი იყო, სამშობლოსათვის, რომ უნდა მოვმკვდარიყავი, ეს დედისაგან ვიცოდი და გამიკვირდა: ახე თავისუფლად, ასე უბრალოდ, ახე გასაგებად ამას ხომ მეც ვიტყვი-მეთქი... და აი, უკვე 40 წელია ვეჯიბრები აკაკი წერეთელს, რომ „განთიადის“ მსგავსი ერთი ლექსი მაინც დავწერო და ბოლოს მივხვდი, რომ მთელი ჩემი შემოქმედება, ამ ლექსის ერთი სტრიქონის ფასადაც არ ღირს.

და მე კიდევ მეტს მივხვდი, კერძოდ იმას, რომ „განთიადი“ კაცის დაწერილი არ არის. ასეთ ლექსებს ადამიანები არ წერენ. ეს მათ ძალ-ღონეს აღემატება. დიახ, ეს ლექსი ღვთის ბაგიდან არის გამოსული და ნაკარნახევი.

ერი და ერისკაცი ზიარ ჭურჭელსა ჰგვანან, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აცოცხლებენ.

ვინ იცის, იარსებებდა თუ არა დღეს ქართული ენა და საქართველო, მეცხრამეტე საუკუნეში ილია, აკაკი, ვაჟა და იაკობი, ეს ოთხი მეხი რომ არ მოგლეწნოდნენ მას.

ვინ იცის, ჩატარდებოდა დღეს ეს ხახალხო ზეიმი თუ არა, მდლეიერ ქართველ ხალხს რომ არ ეგრძნო, არ დაეფასებინა და უკვდავების შარავანდედით არ შეემოსა მათი ნათელი შუბლი და საქმე.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ

როგორც დღე მისდევს დღეს, ისე მოდიან თაობები და სცვლიან ერთმანეთს, მაგრამ აკაკი, ბულბული საქართველოსი, შუამავალი ცისა და მიწისა, უცვლელია. იგი ყოველ დილით ამოდის საქართველოს ცაზე ბრდღვიალა მზესავით, რომ ნათელი მოჰფინოს სულ ახალ და ახალ თაობებს.

რამდენიმე წლის წინ თურქეთის საზღვარზე ვიყავი. იქ აბარის მთებში ერთი სოფელია — ამ სოფელს მდინარე ჭოროხი ჰყოფს შუაში. ერთი ნახევარი სოფლისა ჩვენია, მეორე ნახევარი თურქეთისა. ერთ დღეს ორი მახპინძლის თანხლებით საზღვრის წინა ხაზზე გავედი. ზედ ჭოროხის პირას თურქებს სკოლა აქვთ, ხალხიც ქართველი ყმაწვილებიც სწავლობენ. ნაპირს რომ მივდექი — ო, უნებლიეთ, ბავშვებ ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სახიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ!

დღეს მე მინდა მისივე სიტყვები ახე დავუბრუნო აკაკი წერეთელს:

— შენ, ჩვენი ერის სინათლევ და სიამაყევ, საქართველოს სიკვდილი არ უწერია თუნდაც იმიტომ, რომ ერს შენისთანა კაცი გაუზარდა და დუტოვა, როგორც სიმბოლო უკვდავებისა და მარადისობისა!

ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

როგორც ცნობილია, ყველაზე ლამაზ ლეგენდებს ხალხის ყველაზე საუკეთესო პოეტები ჰქმნიან. ამ მხრივ არც აკაკი წერეთელი იყო გამონაკლისი; მრავალ ლეგენდათა შორის, რომლებიც ორგანულადაა ჩაქსოვილი მის ბრწყინვალე ლექსებსა, პოემებსა და „ბაშა-აჩიკში“, მინდა გამოვყო ერთი მომხიბვლელი და ღრმაზროვანი სიუჟეტი, რომელიც ჩართულია მზისე პიესაში „კინტო“. ამ პიესაში ძველი თბილისის მოქალაქეები საუბრობენ იმაზე, თუ საიდან გამოჩაჟავა მუსიკას რაღაც ღვთაებრივი და მომაჯადოებელი ძალა; ლეგენდა ჯერ ახალი აღთქმიდან აღებული ამბით იწყება, ოღესღაც გალილეაში, ქორწილის დროს ღვინო რომ შემოალდათ, შეწუხდნენ მასპინძლები. იმ ქორწილს თურმე ქრისტეც ესწრებოდა და მასპინძელი დაამბოდა, „წყალი გადაუქცია კახურ ღვინოდო“, — განაგრძობს აკაკი. ამა მაშინ გაჩაღდა ფანტასტიკური ლხინი, და ისეთი ცეცხლი შეუნთეს იმ მხიარულებას მეზურნეებმა, რომ ერთბაშად წარიტაცეს და ცად წაიყვანეს კაცის სული, დაავიწყეს თუ ქვეყნად სადმე რაიმე დარდი და ტკივილი იყო; გამოვიდნენ ყრმანი და ქალწულნი როკვად, გაკეთდა საცეკვაო წრე და უფროსებმაც კი გაშალეს ხელები... მერე მიუბრუნდა იესო მეზურნეებს და რაკი-ღა ოფიციალური ეკლესიის დოგმების მიხედვით, უჯეროო არიან და უწესო მგოსნობანი და სახიობანი, მათ ხმათა საეშმაკოთა სმენანი, სტვირთა და ფონწყლითა, მოოკვეთთა და მომღერალთა ხედვანი, და რაკი-ღა მორწმუნეთ ღრმად სწამდათ, რომ მუსიკის მელოდიურ ბგერებში და საკრავებში ჩამალული არიან მავნე სულები და დემონები, ყოველივე ამის გასაბათილებლად იესომ აკურთხა დუღუკიცა და ზურნაც, ხოლო მეზურნეები დალოცა და ასე უთხრა მათ: ჯერ, სანამ მე აქა ვარ, თქვენც ამ ქვეყანაში იყავით, მერე კი წადით და სადაც კი ყველაზე საუკეთესო ქალაქი ნახოთ, იქ დაბინავდითო. ასე ეს მოიქცნენ მეზურნეები, იესოს ჯვარცმის შემდეგ იმათაც დასტოვეს გალილეა, წამოვიდნენ, მოხეტიალობენ და, თან უკრავენ, ასე მოიარეს აუარებელი ქვეყანა და თბილისზე უკეთესი ქალაქი ვერსად იპოვნეს.

არავითარი კომენტარი არ სჭირდება აკაკის ამ ლეგენდას!

მუსიკისა და პოეზიის განუყოფლობაზე აკაკის პოეზიაში კიტა აბაშიძე წერდა:

„მუსიკა, თავადაც რომ არ იყოს ერთი უწარჩინებულესი შტო იმ დარგისა, რომელსაც ხელოვნებას ეძახიან და ღვიძილი ძმაც არ იყოს პოეზიისა, აკაკი წერეთელს მუსიკის გამომსახველი იარაღი — ჩანგი და სალამური, პოეზიის სიმბოლოდ აქვს მიღებული და მათი შემწეობით გვაცნობს დიდ მნიშვნელობას და ძალას პოეზიისას... მისთვის სულ ერთია, სად, რა დროსა და გარემოებაში ესმის მუსიკა, ყველგან და ყოველთვის მუსიკა ერთ ფიქრს აუშლის ხოლმე, ერთ რახმე აგონებს, თითქოს ყოველთვის და ყოველგან მუსიკას. ამ თავისთავად უსიერადო და უფრძნობელ რახმე, მარტო ჩვენი მგოსანი ჰქონდეს სახეში და მისი სამშობლო მხარე“.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ აკაკი წერეთლის ლექსში ფრიად თავისებური მოდერნიზება განიცადა აღმოსავლურმა ანუ აზიურმა მოტივმა და ხმამ, რომელსაც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში; ალ. ჭაღეკავაძის და გრ. ორბელიანის ლექსების შემდეგ თითქმის მიმწყდარ და ჩამქრალ მუხამბაზურ კილოს, რომელიც ესოდენ ძლიერ არ მოსწონდა ვახტანგ ორბელიანს („მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა... მე არ მიყვარს სურათები ამგვარი, მუხამბაზათ სხვას რას იტყვიო“, ალ. ჭაღეკავაძე), ალ. ჭაღეკავაძის და გრ. ორბელიანის ლექსებიან ერთად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგალითად ჩერნიშევსკისგან სწავლობდნენ სოციალური ბრძოლის მრისხანე ტაქტიკას. ბუნებრივი იყო, რომ თერგდალეულებმა ხალხის სოციალური და ნაციონალური ზნისა, კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა... მე არ მიყვარს სურათები ამგვარი, მუხამბაზათ სხვას რას იტყვიო“, ნათლად აჩვენა, რომ ბევრი რამ შეიძლება თქვა ამ კილოთი, და კერძოდ, შეიძლება ხაოცარი ძალით გამოხატო სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული.

„მუხამბაზის კილოს“ ამგვარი მოდიფიცირება იყო ფრიად საინტერესო მოვლენა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში. ახე, ახალი სახით გაცოცხლდა აღმოსავლური ანუ აზიური კილო აკაკის ლექსში, ისე როგორც გოეთემ თავის „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“ ახალი სული შთაბერა ჰაფიზის მოტივებსა და სიუჟეტებს და თანაც შეინარჩუნა თავისი მძლავრი თვითმყოფადობა და აღმოსავლური კილოზე გამოსთქვა თავისი სულიერი სწრაფვანი, თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა.

●

აკაკი წერეთელი „ჩემს თავგადასავალში“ წერდა:

„მესამოცე წლებში იტალია და უნგრეთი ცდილობდნენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად; სწორედ იმ დროს მოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი. ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვრემენნიკს“ და დობროლიუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს ყიონა. ამოძრავდა რუსეთი“.

აქ ნათლადაა ნაჩვენები ის იდეური წყაროები, რომელთა ზეგავლენითაც ყალიბდებოდა თერგდალეულთა მსოფლმხედველობა. მათ იტაცებდა ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მზაგვრელთა წინააღმდეგ ევროპაში დაიწყეს დაჩაგრულმა ერებმა. ხალხთა ბორკილის მტვრევის ეს ხმა მკაფიოდ ისმოდა მთელ მსოფლიოში, წარმტაც მაგალითს აძლევდნენ დაჩაგრულ ხალხებს ეს ადამიანები. მიუხედავად უაღრესად მკაცრი ცენზურისა, სამოციანი წლების ახალგაზრდებისათვის ეს მოვლენები უცნობი არ იყო. მათ იცოდნენ, რისთვის იბრძოდნენ მაძინი და გარიბალდი, მათ იცოდნენ, როგორ ხდებოდა ამ ბრძოლას მთელი მოწინავე კაცობრიობა, იცოდნენ, რომ როცა გარიბალდი გასცილდა თავის სამშობლოს საზღვრებს, მას ზარბაზნების სალუტით და ზარების რეკვით ხვდებოდნენ, ქუჩაში მას ჭალები აჩერებდნენ, ხელებსა და მაზარის კალთებს უკოცნიდნენ. ეს სტიმულს აძლევდა და რომანტიკულ ზარავანდედსა ჰმატებდა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტულ გრძნობას, — ახალგაზრდობის, რომელიც იმ დროის მსოფლიოს მოწინავე იდეებს ეზიარებოდა.

მერრეს მხრით, თავის სოციალურ პროგრამას თერგდალეულები რაზნოჩინელების იდეური ზეგავლენით ჰქმნიდნენ. თუ გარიბალდის და მაძინის მაგალითი ამხნევებდა მათ საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგალიერად ჩერნიშევსკისგან სწავლობდნენ სოციალური ბრძოლის მრისხანე ტაქტიკას. ბუნებრივი იყო, რომ თერგდალეულებმა ხალხის სოციალური და ნაციონალური „დიდებულო მგოსანო, ბედნიერო ადამიანო! შენი სულიერი შვილი, შენი დიადი ნიჭის გამათბობელ სხივებქვეშ აღზრდილი შვილი, მოგილოცავ შენს დიდებულ დღესასწაულს.

ქართველი ერის ჭირისუფალო! გულდაჩაგრული, დანაღვლიანებული ამით, რომ შენდა სანატრელად ვერ ხედავდი შენს ძვირფას სატრფოს, შენს ძვირფას სამშობლოს, რომელს სწირავდი შენს სულსა და გულს, ბუნების ნიჭსა, ძალ-ღონეს და ყოველს წამს გულდაჩაგრული დაეკითხე ერთხელ, თუ რითი მოგიგო მან ამის სამაგიერო, ხმა არ გაგცა მაშინ შენმა სატრფომ, დიდებულო მგოსანო! მას ვერ შეეგნო, თუ ვინ ეხიყვარულებოდი, ვინ იყავი თავს რომ ევლებოდი. გაიარა დრომ და, აჰა, დღეს გაძლევს შენი ძვირფასი სატრფო თავის დაგვიანებულ პასუხს. დღეს, თვალებახილული შენი დიდებულობით, მოხიბლული შენი ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი სამშობლო წინ მოგაგებებს ღიმილით მის მზეს, მის მთვარეს, გუნდაგუნდ ვარსკვლავთა მოკაშკაშე მოელვარეთა და შენს მამულთან ერთად მოგეხალმებიან ყოველ კუთხიდან შენი ხახელის გამგონნი გარეშენიც, მებრძოლნი კაცობრიობის ბედნიერებისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია შენი სახელის დიდებისა, დიდებულო მგოსანო!

კაცობრიობა აღისრულებს თავის ნატვრას, თავის წმინდა წადილს. მოვა დრო და იგი თავს მოუფრის ყველა არსებულ ერთ ერთა ძმურ კავშირში. კაცობრიობა შეერთდება მოსიყვარულე ერთა კავშირში, და ქართველი ერიც შეუერთდება სხვებს, არა როგორც ფეხშიშველი, თავზედ ლეჩაქაღილი მონა, არა! არამედ როგორც თავისუფალი, გაბრწყინებული, პირნათელი, მოძმეთადმი სიყვარულით აღვსილი. იმ ბედნიერ ჟამს ქართველობა მიიტანს იქ, იმ შეერთებაში, შენს წმინდა სახელს, შენს წმინდა ხატებას. ბედნიერ მოძმეთა შორის გაიმართება ტკბილი ბაასი, მოიყვებიან ერთმანეთს თუ რა ტანჯვა-წამება გამოიარეს თავიანთ შეკავებულ ბრძოლით სვლაში ამ სანატრელ შეერთებისათვის და ქართველი ერი დაანახებს რა მოძმეთ შენს ხატებას, ეტყვის მათ: ხაყვარელო ძმანო, ბევრი ჭირი ეი უბედურება გამოგვივლია ჩვენს გრძელ ცხოვრებაში, გვინახავს ბრწყინვალე დღეებიც, უფრო მეტი კი ვიუბა და წამება. ბრძოლით მოღალულნი, ღონეგამოლეულნი, ერთ

მარად მიჯნური საქართველოსი

გურამ ასათიანი

აკაკი ყველაზე შინაური სულია საქართველოს თანამდევ მარადიულ სულთა შორის.

ქართველი კაცი ეთაყვანება სულმნათ შოთას; დღემდე ტკივა ბარათაშვილის „სული ობოლის“ სიბედისწერო ნაჭირლობევი, მოწიწებით მუხლს იყრის გასული საუკუნის ყველაზე სულდიდ ქმნილების — ილია ჭავჭავაძის ღვაწლისა და მოწამებრივი ხვედრის წინაშე; დღემდე განცვიფრებულია ვაჟა-ფშაველას სულთამძვრელმა გენიის სიღრმით, თრთოლვით უსმენს გალაკტიონის „უსახლო სულის“ ღვთაებრივ ‘ნახმეს...

არც აკაკის ქნარისთვის დაუკლია სამშობლოს აღიარების ნიშანი — დაფნა, ყვავილები, მარმარილო სიცოცხლეშივე მიუზღო, რაც რჩეულ პიროვნებას შეშვენის, მაგრამ, ამასთან ერთად, სხვა იშვიათი გრძნობითაც დაჯილდოვა.

შემთხვევითი არ არის, რომ ქართველმა კაცმა მხოლოდ აკაკი წერეთლის სახელს და ხსოვნას შეპბედა ის, რაც სხვების მიმართ, შესაძლოა, კაცნიერებად ჩამორთმეოდა — ახლობლური, უცერემონო, გულითადი დამოკიდებულება.

აკაკიმ თვითონ დაუშვა ეს — თვითონვე მისცა თანამედროვეთ და შთამომავლობას მის პიროვნებასთან „შეთამაშების“, ალერსით შეხუმრების უფლება.

ამ მხრივ ის ერთადერთი (მოკვდავთა მიერ „ხელყოფილი“) — ღვთაებაა საქართველოს ოლიმპოზე.

აკაკის ნაკვესები ისეთივე ტიპის წარმონაქმნია ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში, როგორც პუშკინზე შეთხზული ანეკდოტების დღემდე უწყვეტი სერია რუსეთში, ან ბერანჟეს ცნობილი გონებამახვილობანი, რომლებიც მთელი საუკუნის განმავლობაში პირზე ეკერა საფრანგეთის დემოსს.

აკაკის სიცილი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი მხარეა მისი პიროვნებისა („მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი“ — იმაზეც მიგვითითებს, რომ მხიარული ქცევა ზოგჯერ მის რეალურ გუნება-განწყობას არ ესადაგებოდა), და მაინც სწორედ აქ ინახება მისი პიროვნული ხასიათის გასაღები.

სხვათა შორის, 1915 წელს პეტერბურგის ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნეკროლოგში ხაზგასმით იყო შენიშნული, რომ აკაკი წერეთლის პიროვნებისადმი ქართველებს ისეთივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც პუშკინისადმი რუსებს.

ეს აზრი უთუოდ საგულისხმოა არა მხოლოდ ზოგადი, არამედ კერძო მნიშვნელობითაც.

როგორც პუშკინმა, ასევე აკაკიმ გასულ საუკუნეში შეძლო თავისი წარმომშობი ეროვნული ნიადაგის ყველაზე მკვირვალ შრეთა გამომჭეურება და ამასთან ერთად მანვე (როგორც პიროვნებამ) იჩგუნა ის უაღრესად თავისებური ადგილი, ის შედარებით ვიწრო, მაგრამ აუცილებელი სივრცე, რომელიც ყველა ხალხის გულში მიიკოვება და აღრე თუ გვიან უსათუოდ უნდა შეიჭეხოს.

პუშკინისგან განსხვავებით აკაკის ცხოვრებისეულ იუმორს — ნამდვილს თუ სხვათაგან მიწეურილს — აკლია სიმძაფრე, უფრო ზუსტად, ნერვული დაძაბულობა ახასიათებს ჩვენში, თანამედროვეთა მოწმობით, ნიკოლოზ ბარათაშვილის ირონიას უფრო ახასიათებდა).

აკაკის სიცილი ჩვეულებრივ შეწყნარებლურია. თუ ირონია გაუჩია, უფრო ხშირად საკუთარი პერსონისადმი მიმართული.

ახეთია მისი იუმორის გულის გული, შინაგანი სტრუქტურა, თორემ აკაკის „მწარე ენის“ ამბავი ყველასთვის ცნობილია.

დამახასიათებელი ფაქტი: სტუდენტობის დროს აკაკის ბევრი თანამემამულე აუმხედრებია სწორედ თავისი ენაკვიმატობის წყალობით.

მაგრამ როგორი სინანულით, როგორი გულისტკივილით სწერს იგი ამის შესახებ ახლობლებს. როგორც ჩანს, მის უწყინარ ხუმრობას დაუნდობელი გესლი მოჰყვა საპასუხოდ, ასეთი რამ კი უცსო და აუტანელი აღმოჩნდა აკაკისთვის, ვინაიდან მისი თანდაყოლილი, ფარული ბუნება სულ სხვა ფენებისა იყო და მხოლოდ დროთა განმავლობაში შეიძინა მტერმოყვარეთაგან ნამდვილად მიჩნეული, „საგარეო“ იერი.

აკაკის პიროვნების პირველსაწყისი ღია, ულრუბლო, მიმნდობი ბასიათია.

არავითარი სიკერპე, არავითარი გულისათრობა ან მეფიდ ერობა.

ერთი წვეთიც კი ამისა არ მოსცემია მის ბუნებას.

შვიდი წელი იარა აკაკიმ (ილიას სიკვდილის შემდეგ) საქართველოს უგვირგვინო მეფედ. მაგრამ ამ დროსაც კი მის „ყოფა-ქცევას“ არაფერი დამჩნევია ხელმწიფური შეუფალობისა. თუ ზოგჯერ ხელით ატარებდნენ — ეს როგორც მოხუც მამას, „ავადმყოფ მგოსანს“ და არა მრისხანე ბომონს.

„მეფური“ ბუნება უცხოა აკაკის პიროვნებისთვის. თავისი ხასიათით ის უფრო იმ გულჩვილ უფლისწულს მოგვაგონებს, რომელმაც მთხოვარა ბიჭთან პირველი შეხვედრისთანავე მის ორეულად სცნო თავი და ბეჩავის ჭირ-ვარამი გაიზიარა.

აკაკის გაძღების ამბავი საუკუნის სიმბოლოა.

სწორედ აქ, სათნო ზემო-იმერეული ქალის თალხ კალთაში მიაგნო მან თავის ნამდვილ ბუნებას და მოწოდებას, სამუდამოდ შეითვისა ადამიანური უბრალოება, რაც მთავარი ნიშანია, როგორც მისი ცხოვრების, ასევე შემოქმედების სტილისა.

გადმოცემის თანახმად, მწერლის დედას, ეკატერინე აბაშიძეს უჩვეულოდ მსუბუქი მშობიარობა ჰქონდა თავის მეოთხე შვილზე. აკაკის გადიას სიტყვით, „ამის დაბადებაც სულ სხვანაირი იყო. დაიბადა ერთი რაღაც ბამბის ქულა... ვის უნახავს ამის ტირილი? სულ იცინოდა“. ხოლო პოეტის უფროსი და, ანა ასე იგონებს მის ბავშვობას: „სახე უცინოდა, საკუთარი არა აწუხებდა რა, მაგრამ სხვის საწუთენ თუ რახმე ნახავდა, ან გაიგონებდა, მაშინ კი მოპკვეებოდა ხოლმე ტირილს და ღრიალს“. „ეკვსი-შვიდი წლისა — წერს თვით აკაკი — ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავი: ტანმრთელი, მალსაზი, კეთილი, ყველას მოსიყვარულე და თავისუფალი...“

გურამ ასათიანი

ყველა ეს ცნობა თავისებურად საგულისხმოა მისი პიროვნული ხასიათის მთავარ თვისებათა გასაგებად.

პირველ რიგში, დაბადების ამბავი:

თვით აკაკის პოეზიაც ხომ ყველაზე „ოლი“ შვილია ქართველი ხალხის შემოქმედი გენიისა. სიმსუბუქე, ძალდაუტანებლობა, სილაღე, მისი ნიჭისა და შთაგონების განუყოფელი ნიშნებია. მთელ მის შემოქმედებაში ერთ გამოტანჯულ სტრიქონსაც ვერ მოძებნით.

ნათქვამია: აკაკი წერეთელმა ქართულ მწერლობაში შემოიტანა „ეოზა“. ეს ერთობ ზუსტი მოსაზრება არ უნდა გვეჩოთიროს, ვინაიდან მისი საგანი ესთეტიკური აქციაა და არა კერძო საქციელი. მართლაც, მეოცე საუკუნემდე ჩვენი მწერლობისთვის არსებითად უცნობი იყო პოეტური ნიღბის ცნება და შესახამისად არც ერთ ქართველ პოეტს (ალბათ, ბესიკის გამოკლებით) არ მოუხდენია საკუთარი ბიოგრაფიისა თუ პიროვნული იერის ესოდენ მკაფიო ესთეტიზირება. მაგრამ საგულისხმოა ისიც თუ სახელდობრ როგორი იერსახე, ან როგორი ავტონიღაბი შექმნა და დაიმკვიდრა მან ქართველი მკითხველის თვალში.

ეს ხომ თავად უბრალოების, ხალვათი, შინაურული სისადავის განსახიერებაა! ანუ მისივე სიღრმისეული ბუნების პოეტური უკუფენა. ღრმა მოხუცებულობაშიც კი, როდესაც თანამედროვენი მის პიროვნებას უფრო სიმბოლოდ აღიქვამენ, ვიდრე ცოცხალ არსებად, თვით პოეტს ერთი წუთითაც არ ღალატობს ბუნებრიობის უღრმესი ნიჭი, ერთი წუთითაც არ აღებს მისთვის ყოველის მხრიდან შემოთავაზებულ შესაძლებელ გვირგვინს.

თავი და თავი აქ ის არის, რომ ამ „პოზას“ იოტის ოდენიც არ ურევია ჩვეულებრივი პოზიორობისა. ეს დიდი ბუნების შინაგანი აუცილებლობით ნაკარნახევი ყენტია და არა ზერელე ამბიციის ცრუ მოძრაობა.

პარადოქსი აქ იმაშია, რომ „სახე“ და „ნიღაბი“ არსებითად ერთ მნიშვნელობას იძენენ. მეტიც: უკანასკნელი ზოგჯერ პოეტის სულიერი კონსტიტუციის უფრო ზუსტი და მკაფიო გამოსახვეებაა.

აი, ერთი არდასავიწყარი შტრიხი აკაკის დიდების საიდუმლოებისა.

1908 წელი. პოეტის საიუბილეო დღე, ხაონის ტაძარში ეს-ეს არის დამთავრდა პარაკლისი. აკაკი ტაძრიდან გამოდის. დამსწრეთა ერთსულოვანი „ვაშა“. ერთ-ერთი მათგანი იგონებს: „რაღაც გამგმირავი და ღვთიური განცდის მომგვრელი იყო ეს „ვაშა“. თბილისის ქუჩებს, ხაონიდან სახაზინო თეატრამდე, ხადღესასწაულო ელფერი ედვა. ყველგან ქუდმოხდილნი უხვდებოდნენ საქართველოს „უგვირგვინო მეფეს“.

ასე დაიწყო ეს დღე. ბევრმა არ იცის, რითი დამთავრდა იგი. ბევრს აღარ ახსოვს აკაკის საბოლოო (თეატრში წარმოთქმული) სიტყვის მთლიანი ტექსტი:

„მე ჩემი თავი ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია პატარა დღიურ მუშად, ძალიან მცირედ, ახე რომ, თუ ჩემს შრომას ვინმე ყურადღებას მიაქცევდა, არ მეგონა, მაგრამ ახლა ვხედავ, შემცდარი ვყოფილვარ და დღეს ჩემი შრომა ერთი ათასად ფასდება. რას უნდა მივაწეროთ ეს? იმას, რომ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა, რომ მას ჰყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რაც მე მხოლოდ მოჩვენებულადა ვარ. მის ამ დიად გრძნობას შეეფერთებ ჩემს ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეს ის სანატრელი გმირი“.

როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, — წარმოიდგენ ვინ და როდის ამბობს ამას, რა მდგომარეობაში მყოფი, როგორი სიმაღლიდან, — ანგარიშმიუცემლად გაგკრავს გულში: ღმერთო, გადმოგვხედე!

სხვა რა გვეთქმის.

აკაკის ნოვატორობამაც უხმაუროდ, ბუნებრივად იჩინა თავი.

არავითარი „დამხმარე ზომისთვის“ არ მოუმართავს საკუთარი ორიგინალობის დასამტკიცებლად. მისი მეგზური ხალხი, თვითმყოფი ნიჭიერება იყო.

ხაბედნიეროდ, მაშინდელ ხაქართველოში აღმოჩნდნენ ადამიანები, როლეებმაც უკვე მის სტუდენტობისდროინდელ ლექსებში იგრძნეს ქართული პოეზიის ახალი ფერისცვალების ნიშანი.

საუკუნოვანი დისტანციიდან ძნელია იმ შინაგან სხვაობათა შემჩნევა, რაც ჩვენში ორი ლიტერატურული ეპოქის (რომანტიკულისა და რეალისტურის) მიჯნაზე წარმოიშვა. აკაკის თანამედროვენი, ცხადია, უფრო მძაფრად აღიქვამდნენ ამ ცვლილებებს.

ოცდაერთი წლის აკაკი პეტერბურგში წერს ამუამად თითქმის მივიწყებულ ლექსს „მოლოდინი“ (1861). ეს ლექსი ჯერ კიდევ ძალიან შორსაა მხატვრული სრულყოფისგან (ენობრივადაც სცოდავს აქა-იქ), მაგრამ ამ ლექსში არის ორი სტრიქონი, რომელიც თავისი შინაარსით ეპოქალურ ძვრას მოახწავებს XIX საუკუნის ქართულ პოეტიკაში:

შემკრთალს გული მაღლად
უძგერს,
მკერდს პერანგი
დაჰფართხალებს.

ასე აღწერს ჭაბუკი პოეტი შუაღამით ხარკელში გამოჩენილ სატრფოს სიზმრეულ გარეგნობას. გავიხსენოთ, რა ხდება ამ დროს „ირგვლივ“: ეს ის ხანაა, როდესაც ბარათაშვილის მიერ უკვე გაუქმებულია ბესიკისეული მეტაფორიზმის ხანგრძლივი ტრადიცია, რომლის ფარგლებში ქალური ხილამაზის ხილვა მხოლოდ ერთი რაკურსით (ხორციელ მშვენებათა რთულ პირობით ენაზე გადატანით) იყო დაშვებული. თვით სატრფოს გარეგანი ხატი როგორც, პოეტური აღწერისა და ანოლოგიის საგანი, ბარათაშვილის მიერ უკანა პლანზეა გადატანილი („ხახე შენი მოწყენილი არა ბგავდა ხორციელსა“) და ეროტულ ენებათა ღელვის ადგილს სულის საიდუმლოებათა წვდომის სურვილი იკავებს („და ბაგენი მდუმარენი ხვაშიადსა მიჩალვიდენ“). თითქოს სიმბოლურია, რომ ბარათაშვილის ეს ლექსი „სატრფოვ, მახსოვს“... აკაკის დაბადების წლითაა დათარიღებული. და აი, ოცდაერთი წლის შემდეგ ჯერ კიდევ პოეტური შეგირდობის ასაკში მყოფი აკაკი წერეთელი ესოდენ ცხოველ, დაუფარავ ინტერესს იჩენს რომანტიკოსების მიერ ხაზგასმით უგულებელყოფილ „ხორციელებს“ მიმართ.

ოღონდ ეს უკან (ბესიკური პოეტიკისკენ) მიბრუნებას არ მოახწავებს. ცოცხალი სხეული აქ დანახულია არა ტრადიციულ („აღმოსავლურ“) პირობითობათა ფერადოვან ბურუსში, შესახამისი დეკორაციული გაფორმებით და სხვ. არამედ თავისი სიცოცხლისმიერი პირველქმნილი, „სიშიშვლით“, აქ პოეტურად აღნუსხულია არა მხოლოდ მისი რეალური ნაკვთები, არამედ უკანასკნელთა კონკრეტული, ცოცხალი, განუმეორებელი მოძრაობაც:

„მკერდს პერანგი დაჰფართხალებს“.

ასეთი ხილვა არსებითად უცხო იყო ქართველ რომანტიკოსთა პოეტური მსოფლმხედველობისთვის.

უფრო მეტიც: აკაკის ეს სახე ისეთივე იშვიათობაა XIX საუკუნის პოეტური აზროვნების საერთო ფონზე, როგორც პუშკინის ცნობილი სტრიქონი: „ქვის სტუმარიდან“

«Придете кудри наклонять и плакать», რომელიც (იური ოლეშას აღმოჩენამდე) მთელი ესთეტიკური კონცეფციის ქვაკუთხედად იქცა თანამედროვე რუსულ კრიტიკაში.

ეს არის XIX საუკუნისთვის არსებითად უცხო „ფართო პლანი“, მოახლოვებული სინამდვილის ანალიტიკური დანახვის იშვიათი ნიმუში — თავისებურად უნიკალური ხერხი მხატვრული წარმოსახვისა, რაც გვიანდელი ეპოქის (XX საუკუნის) პოეტიკას დაედო საფუძვლად.

უნდა გავიმეოროთ: დღეს, ჩვენი დროის თვალსაწიერიდან ძალიან ძნელია ამგვარ ეპოქისეულ სიახლეთა შემჩნევა. სამაგიეროდ, აკაკის თანამედროვეთ მხედველობიდან არ გამოპარვიათ ამ პოეტური სახის უჩვეულობა. მართალია, პროფესიულ კრიტიკას (ან სად იყო იმ დროს ჩვენში ამგვარი რამ!) ყურადღება არ გაუმახვილებია აკაკის ამ სტრიქონის გამო, მაგრამ საქმეში ჩახედულმა მკითხველმა არ დააყოვნა სათანადო რეაგირება.

ამის შესახებ ერთი დიდად საყურადღებო ცნობა არსებობს, თვით აკაკის მიერ დატოვებული:

„ტფილისში ჩამოვედი 1862 წელს, — გვიამბობს ერთ მოგონებაში პოეტი, — თუმცა ისე ვიყავი დაღალული, რომ მარტო ერთი ღამის მოსვენება არ კმარიდა გამოსაშუშებლად. მე მაინც მეორე დღესვე წავედი „ცისკრის“ რედაქტორის სანახავად, რომელსაც პირადად ვერ ვიცნობდი და მიწერ-მოწერით კი დიდი ხნის მეგობრები ვიყავითო.

ის იდგა საკუთარს სახლში ალექსანდრეს ქუჩაზე და სტამბაც იქვე ჰქონდა.

ერთმა ახალგაზრდა ტანმორჩილმა ქალმა გამიღო კარი და ჩემი ვინაობა რომ გიგო, ნთესაურად შემომცინა და თანაც შეხძახა ქმარს:

— ივანე! ივანე! ყმაწვილო, გამოდი, ნახე ვინ გესტუმრა!

გამოვიდა ერთი შავგვრემანი, კარგი თვალ-ტანადი ვაჟკაცი, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და ბოლოს ჩემი სახელი რომ ვუთხარი, სიცილით გადამეხვია.

ის იყო ივანე კერესელიძე.

საკვირველი მწუხარე სახე ჰქონდა, — რომ იცინოდა, მაშინაც თითქოს სტირისო, ახე ეგონებოდა კაცს, მაგრამ ეს მოჯეუხვნა-სევდიანობა შვენოდა და სახიამოვნო საყურებელიც იყო.

შემიწვნა ოთახში. იქ მოხუცებული ქალი დაგვხვდა. ის მისკენ მიბრუნდა და უთხრა:

— დედი, ეს ის არის, რომ დახწერა: „ბულს პერანგი დაჰფართხალებსო“. ხომ გახსოვს? აკი ნატრობდი, ნეტავი მაჩვენაო!... აი, აგიხრულდა კიდეც ნატვრა.

— უი, მართალი, შვილო! — წამოიძახა ბებერმა და გადამეხვია. დამსვეს, შემომსხდნენ გარს სამივე ისეთი შეხაფიფეთით, თითქოს მათი დიდი ხნის დაკარგული შვილი ვყოფილიყავ და დამიწყეს მუსაიფი“.

რა საოცრებაა აკაკი, ადამიანური ბუნების, სიკეთის, სიბრძნის, სინათლის რა საოცარი გამოვლინება, რა ფაქიზი, მზის სხივივით გამჭვირვალე ძაფით არის ნაქსოვი მისი სული, რა მშობლიური და ახლობელია ყოველი ჩვენგანისათვის.

გასულ საუკუნეში ქართული სულის უკვდავება ქვეენიერებას ორმა პოეტმა ამცნო — ილიამ და აკაკიმ. თუ ილიამ ეს უკვდავი იდეა გამოხატა დიდებულ, სკულპტურულად ჩამოსხმულ მეინვარის სახეში, როგორც ბაერში გაქვავებული ალმაფრენის სიმბოლო, აკაკი წერეთელმა, მისი კალმისათვის ჩვეული ფერადოვნებით—ბაეროვანი, მზისფერი, ლაჟვარდოვანი ხაღებავებით განასახიერა იგი ცისარტყელას სახეში:

შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერი...

ვინ იცის, ალია რომ არა, აკაკი რომ არა, რანი ვიქნებოდით დღეს. ბევრი ერი გაუსრესია ისტორიის ბორბალს ისე, რომ მათი წარსული დიდებისაგან მხოლოდ მოგონებაღა დარჩა.

აკაკის ლექსების ერთი რკალი 1918 წლით არის დათარიღებული — სულ რამდენიმე ლექსი. ისინი ჩვენ გვიმხელენენ, თუ რა მიმართულებით იყურებოდა მაშინ პოეტი, ქართველი ადამიანის სულის რომელ სიმებზე თვლიდა საჭიროდ გასაკეთებელ ზემოქმედებას. სწორედ ამ დროს არის დაწერილი:

ოდესს სნეული და ავადმყოფს
ერიდები, აშორებ თვალს,
ოწენებით თაყვანსა სცემ
ჯადამთელ დედინაცვალს

აკაკის ლექსი, მთელი მისი პოეზია თითქოს ერთი ლოცვაა, სამშობლოს სახაკეთოდ აღვლენილი. მართალია, მისთვის სიბერემდე არ ეღალატნაათ შეჩვენების, ანათემის სმებისაც და მაინც ის ჩვენს მეხსიერებაში რჩება საქართველოს მარადიულ მიჯნურად.

შორი ოხვრით, შორი ბნედვით
მიყვარს, მიყვარს სულით,
გულით,
საფლავშიაც თან ჩამყოლი,
აღმფრენი სიყვარულით.

ეს სულის უკანასკნელ ამოხდომის წინ ნათქვამი სიტყვები დღეს ჩვენ თითქოს ისევ სამყაროს უსაზღვრო სივრცეებიდან გვესმის. ამ სიტყვებშივე არის აკაკის ჩვენთან მუდამ ყოფნის ხანგუგეშო ნიშანი.

დემნა შენგელაია

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **დემნა შენგელაია.**

ფართო და მრავალმხრივი ერუდიციისა და იშვიათი ნიჭის მქონე ხელოვანმა დ. შენგელაიამ ღირსეულად განაგრძო და განავითარა ჩვენს დროში ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიციები, დიდი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებაში, როგორც მისმა ერთ-ერთმა ფუძემდებელმა. დემნა შენგელაიას საუკეთესო რომანები, მოთხრობები, ნოველები თარგმნილია რუსულ ენაზე, ჩვენი სამშობლოს სხვა მრძმე ხალხთა ენებზე და ქცეულია მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებად. ბევრი მათგანი თარგმნილი და გამოცემულია უცხოეთის ქვეყნებში.

ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე დემნა შენგელაია ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში იდგა და თავდადებით ემსახურებოდა ჩვენი მხატვრული კულტურის, ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებასა და განვითარებას.

დემნა კონსტანტინეს ძე შენგელაია დაიბადა 1896 წლის 21 მაისს სამტრედიის რაიონის სოფელ საგინალოში, რკინიგზელის ოჯახში. 1917 წელს, თბილისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, დემნა შენგელაიამ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1922 წლამდე სწავლობდა. 1932 წელს ჩაირიცხა თბილისის ს. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტად, რომელიც დაასრულა 1937 წელს. 1940 წელს იგი შევიდა სკკპ რიგებში. დიდი სამამულო ომის დროს დემნა შენგელაია მუშაობდა არმიული გაზეთის „სამშობლოს გმირის“ სამხედრო კორესპონდენტად.

დემნა შენგელაიამ ლიტერატურული მოღვაწეობა ჯერ კიდევ ადრეული ნიჭაბუკის წლებში დაიწყო, მაგრამ მისი შემოქმედებითი ცხოვრების ნამდვილი დასაწყისი ქართველი ხალხის ცხოვრების ახალი ისტორიული ეპოქის — საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებს მიეკუთვნება. იგი ერთი პირველთაგანი იყო ახალი საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ საუკეთესო წარმომადგენლებს შორის, რომლებიც თავიდანვე მტკიცედ და გარკვეულად დაადგნენ საბჭოთა სახელმწიფოსთან აქტიური შემოქმედებითი თანამშრომლობის გზას და მას შემდეგ თავდადებით ემსახურებოდნენ ჩვენს სამშობლოში ახალი ცხოვრების მშენებლობას, სოციალისტური კულტურის განვითარების დიდსა და კეთილშობილურ საქმეს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმოცენება-ფორმირების პირველსავე პერიოდში, ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დამდეგს გამოკვეყნდა დემნა შენგელაიას რომანი „სანავარდო“, რომელმაც ეშშმარიტად ფუძემდებლური როლი შეასრულა თანამედროვე ქართული მწერლობის ისტორიაში.

ამ მაღალნიჭიერი ნაწარმოებით დემნა შენგელაია გამოეხმაურა დიადი რევოლუციური ძვრების ეპოქას, გამოხატა ახალი სამყაროს ძლევამოსილი ალმავლობის იდეა, შთაგონებულად უმღერა ცხოვრების დიად განახლებას. „სანავარდოს“ მოჰყვა რომანი „ტფილისი“, რომელსაც უპირველესად საყურადღებო ექსპერიმენტის მნიშვნელობა ჰქონდა მხატვრული მეტყველების, ენისა და სტილის ფორმათა ძიების სფეროში. ოცდაათი წლების მეორე ნახევარში დემნა შენგელაიამ გამოაქვეყნა ნოველებისა და მოთხრობების სერია: „ბურამ ბარამანდია“, „თებერვალი“, „პატარა დედაკაცი“, „ეკე“ და სხვები, რომლებშიც ახახა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის, სამოქალაქო ომის ცხოველი სურათები.

მწერლის მხატვრული ოსტატობის სრული მომწიფების მომასწავებელი იყო ოცდაათიანი წლების დამდეგს დაწერილი რომანი „ბათა ქექია“, რომელიც დღემდე რჩება ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო მონაპოვრად, თანამედროვე მხატვრული პროზის მიღწევად.

რომანში „შთაგონება“ მწერალმა ახახა რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე ქართველი მუშების თავგანწირული გმირული ბრძოლის ამაღელვებელი ეპიზოდები. გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის დამდეგს ჩვენი ხალხის სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი ძვრები — ქართველი მუშათა კლასის ჩამოყალიბებისა და მისი რევოლუციური ბრძოლების გაჩაღების ეპოპეა მოგვითხრო დემნა შენგელაიამ რომანში „ცისკარი“. პარალელურად მწერალი აქცეყნებდა ნოველებს ისტორიული წარსულისა და ჩვენი თანამედროვეობის თემებზე: „ქორდედალა“, „იმამი“, „ბაშკადილარი“ და სხვა.

დიდი სამამულო ომის წლები დემნა შენგელაიამ საბჭოთა არმიის რიგებში გაატარა, როგორც ფრონტული პრესის აქტიურმა თანამშრომელმა. ამ წლებში მან შექმნა მრავალი მოთხრობა და ნოველა, რომელებშიც შთაგონებულად უმღერა ჩვენი ხალხის სწორუპოვარ გმირობასა და ვაჟკაცობას. საბჭოთა ადამიანების ნათელი მორალური სახე, ჰუმანურობა, პატრიოტიზმი და ხალხთა ძმობის ამაღლებული გრძნობა განასახიერა მწერალმა მოთხრობაში „წითელი ყაყაჩო“.

უკანასკნელ წლებში დემნა შენგელაია ჭაბუკური მგზნებარებით განაგრძობდა დაუცხრომელ შემოქმედებითს ცხოვრებას. მისი ვრცელი მოთხრობა „განძი“ უაღრესად საინტერესო და პრობლემური ნაწარმოებია. ამ მოთხრობაში მწერალმა დამაჯერებლად გვიჩვენა, თუ რაოდენ სახიფათო და მავნებელია საბჭოთა ადამიანის ხასიათში აქა-იქ დარჩენილი მანკიერი გადმონაშთები კაპიტალისტური წარსულისა, რომლებიც დასაღუპად არის განწირული ჩვენს სინამდვილეში.

ლიტერატურული მოღვაწეობის მთელ მანძილზე დემნა შენგელაია წერდა და აქვეყნებდა უაღრესად მნიშვნელოვან ფილოლოგიურ გამოკვლევებს ქართული მითოლოგიისა და ფოლკლორის საკითხებზე, ისტორიულ-ლიტერატურულ ნარკვევებს ქართული და რუსული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საკითხებზე. ამ მეცნიერული მოღვაწეობის სათანადო დაფასება იყო მწერლის არჩევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

დემნა შენგელაიას, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატის ენობრივი სამყარო აღსავსე იყო მომხიბლავი და წარმტაცი ფერებით. იგი მიეკუთვნებოდა იმ რჩეულ მწერალთა რიცხვს, რომელთათვისაც სიტყვის ფენომენს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

წლების მანძილზე დემნა შენგელაია აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და მისი პრეზიდიუმის წევრი, ხალიტერატურო ჟურნალგაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრი.

დიდია დემნა შენგელაიას დამსახურება ახალგაზრდა მწერლების აღზრდისა და დაოსტატების საქმეში. მისი ხელშეწყობითა და მამაშვილური, საქმიანი ყურადღებით მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ ვაჟკაცმა გზა და ჩვენი მწერლობის მოწინავე რიგებში ჩადგა.

მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააჯილდა დემნა შენგელაიას ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის და ხალხთა მეგობრობის ორდენებითა და მედლებით.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, მხატვრული სიტყვის დიდოსტატის დემნა შენგელაიას ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში, ჩვენი ეროვნული მწერლობის ისტორიაში.

ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. გ. კოლგინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ე. კ. ხარაძე, გ. გ. აბაშიძე, ი. გ. აბაშიძე, ა. დ. ალექსიძე, ზ. გ. ახვლედიანი, ნ. ვ. გურგენიძე, ნ. ვ. დუმბაძე, ს. დ. კლდიაშვილი, ნ. ა. შვანია, გ. ვ. ჟორჟოლიანი, გ. ი. ფანჯიკიძე, ჯ. ა. ჩარკვიანი, რ. დ. ჩხეიძე, გ. შ. ციციშვილი, შ. ვ. ძიძიგური, გ. ნ. ჯიბლაძე.

გულისტკივილით გეთხოვეგით

გულწრფელია ის მწუხარება, რომელსაც შენი დაკარგვით განიცდის დღეს მთელი ქართველი მწერლობა, შენი მკითხველი, განსაკუთრებით შენი ახლო მეგობრები.

შენი ბრწყინვალე ტალანტი აჯადოებდა ჩვენს ხალხს, შენმა მომხიბლავი ქართულით დაწერილმა მშვენიერმა ნაწარმოებებმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ლიტერატურაში.

ბევრი რამ თქმულა შენი ელვარე ტალანტის შესახებ და მომავალშიც მრავალჯერ გაიხსენებენ შენს სახელს, ამ მხრივ სიკვდილი დაჯაბნე.

შენი სამწერლო მოღვაწეობიდან მრავალი რამის გახსენება შეიძლება, მაგრამ ახლა გულისტკივილი მომძალებია, რომ დავკარგე შენნაირი მეგობარი, შენნაირი მართალი ადამიანი.

ძნელია ჩემთვის იმის შერიგება, რომ სიცოცხლის ისეთი მოყვარული, ხალხისთვის ხავსე, დღეს სამუდამოდ დადუმდი.

გულისტკივილით გეთხოვები, ძვირფასო მეგობარო, შენდამი სიყვარული, რომელიც ახალგაზრდობიდან მომყვება, სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში.

მშვიდობით, ძმაო დემნა, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

სერგო კლდიაშვილი

საყვარელი მწერალი

ძალზე ძნელია შეეგუო აზრს, რომ აღარა გვყავს დემნა შენგელაია. ამიერიდან იგი უკვე აღარ მოვა მწერალთა კავშირში, ვეღარ მოვისმენთ მის ტემპერამენტიან და საინტერესო ლაპარაკს. მერე რა საოცარი საუბარი იცოდა? ცალ თვალს ოდნავ მოხუჭავდა. სივრცეს გახედავდა და ისე ლაპარაკობდა, თითქოს მონოლოგს კითხულობსო.

მიუხედავად ასაკისა, ბოლო დღემდე მოუსვენარი და ფუსფუსა იყო. გაცხარებაც იცოდა, მაგრამ მისი გაცხარება კეთილი კაცის უშუალო ბუნებისა და გულწრფელობის გამოხატვა იყო და ამიტომაც არავის წყენდა. ხუთი წუთის შემდეგ კი თვითონაც არ ახსოვდა, რატომ გაცხარდა და ვის გაუცხარდა.

ჯერ კიდევ ომის პერიოდში სრულიად ბავშვმა წავიკითხე მისი — „ბაშკადიკლარი“, „სანავარდო“ და „ბათა ქექია“. იმ დღეებიდან გახდა დემნა შენგელაია ჩემი საყვარელი მწერალი. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ გაივლიდა წლები და იგი პირველი შეაკვდება ჩემს ლიტერატურულ დებიუტს, იქნებოდა მთავარი მოგზსენებელი ჩემი რომანის განხილვაზე, იქნებოდა ჩემი გამომსარჩლებელი და დამცველი საქართველოს მწერალთა მეშვიდე ყრილობაზე და ერთ-ერთ საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე, სადაც ზოგიერთმა ამხანაგმა ერთი ჩ

მარად და მარად!

თეიმურაზ დოიაშვილი

სიბერეს მიახლოვებულმა აკაკი წერეთელმა ტბის სევდიანი გედივით სიმღერებში სიკვდილი ინატრა. პოეტის შედარება მომაკვდავ გედთან აკაკისათვის ესთეტიკური პოზა არ ყოფილა — ამღერების გარეშე ლექსი მისთვის წარმოუდგენელი იყო. მაგრამ ამ შთამბეჭდავ პოეტურ ხატს დაფარული, „საიდუმლო“ აზრიც ჰქონდა: იგი მიანიშნებდა გასული საუკუნის ინტელიგენციის მსოფლმხედველობრივი ოპტიმიზმის რღვევაზე. ელეგიური განწყობილება, ცოტა მოგვიანებით, შეუფარავი პირდაპირობით გახმიანდა:

„მეც მივდივარ, შენც მიდიხარ,
გეთხოვები, საქართველო! —
მეც ვსჭკნები და შენც სჭკნები,
როგორც ზამთრის პირად
მდელო.

სულის როგორი მტეხიარობა უნდა ეგრძნო გზის დასასრულთან მისულ პოეტს, რომელმაც მთელი ცხოვრება ამირანის განთავისუფლებასა და ნესტან-დარეჯანის გამოხსნის ცდას შეალია, რომ ეს მწარე სტრიქონები ამოეთქვა?! „დამჭკნარი მდელოს“ მეტაფორულ-სიმბოლური სახე აკაკის ახალგაზრდობიდანვე თან სდევდა. თუ ჭაბუკის იმედიანი გული გაანალების ტკბილი მოლოდინით ძგერდა, სიბერის ჟამს პოეტმა თითქოს დაუნდობლად გადაუსვა ხაზი საკუთარი თავგანწირული მოღვაწეობის ათწლეულებს და სადინარი გაუხსნა გულში ნაგუბარ, უსაშველო სევდას, რომელსაც, პირნუ ღიმილაფარებული, აქამდე არავის უმხელდა.

„საიდუმლო ბარათის“ ჭაბუკმა ავტორმა ვერც კი მოასწრო საყვარელით გაბრუება, რომ უფრო დიდი ცეცხლი შემოეგზნო — მამულის მეტრფე გახდა. სამშობლოზე სიმღერა მან ქართული სალამურით დაიწყო და მის სევდიან, მკვნესარ ხმაში „საქართველოს მოთქმა მწარე“ ამოიცნო.

აკაკის პატრიოტული ლირიკის უმთავრესი ხატი — სატრფო-სამშობლოს სიმბოლურ-ალეგორიული სახე — ეროვნული პოეზიისათვის უცხო არ იყო, მაგრამ პოეტის შემოქმედებაში მან ღრმა აზრობრივი დატვირთვა და განზოგადება შეიძინა. „დედაშვილობის“ ტრადიციულ მეტაფორას აკაკიმ გვერდით ამოუყენა „სატრფო-სამშობლოს“ მხატვრული სახე და, გარკვეული მოსაზრებით, მას უპირატესობა მიანიჭა.

„დედაშვილობა“ პოეტისათვის მხოლოდ ლამაზი პოეტური მეტაფორა კი არ იყო, რომელიც სამშობლოსა და შვილის ურთიერთობას იდეალურ, რომანტიკულ ფერებში წარმოსახავდა, არამედ რეალური ფსიქოლოგიური შინაარსის შემცველი სახე. იგი ღრმად იცნობდა დედაშვილობის ბუნებას, რომლის საფუძვლად მშობლიური მიტევება და შვილისათვის თავგანწირვა მიაჩნდა. აკი თქვა „გოგია მეჩონგურეში“: „მაგრამ ნება ბუნებისა ეს არის და ასე იყოს, დედამ უნდა შვილისათვის თავისთავი დაივიწყოს“. პოეტი აღმერთებდა დედის უსაზღვრო სიკეთეს, მეშეცდომილისადმი, მაგრამ ვერ ეგუებოდა მიტევების მოიმედე შვილის უდარდელობასა და თავგასულობას. აკაკი, როგორც რეალისტი პოეტი, ეძებდა ზუსტ ფსიქოლოგიურ შტრიხებს, რათა პიროვნების სამშობლოსთან დამოკიდებულების საკუთარი იდეალი სრული სიცხადით გადმოეცა.

„სატრფო-სამშობლოს“ სახე, საყვარელ არსებასთან ურთიერთობა თავისი სირთულითა და ფსიქოლოგიური მრავალფეროვნებით ამ მხრივ პოეტს თანამედროვე ადამიანის პატრიოტული გრძნობების ალეგორიული გამოხატვის ფართო შესაძლებლობას უხსნიდა, სიმბოლურ ხატს უფრო ტევად აზრობრივ შინაარსს აძლევდა. „პატიმარი სატრფოს“ ტრადიციული სახე აკაკიმ ახალი კუთხით წარმოსახა, დროისმიერი შინაარსით გაჯერა: მტრისგან მოხიბლული, შემცდარი სატრფოს პოეტისეული სიმბოლო ეპოქის მთელ ტრაგიზმს იტევდა და მიანიშნებდა იმ ნეგატიურ ზნეობრივ ცვლილებაზე, რაც ქართული საზოგადოების შეგნებაში მოხდა. მოგონებად-ღა დარჩა სათნო სოფიოს სიტყვები: „უცხოობაში რაა სიამე!“ თავისუფლების სიყვარული ფუფუნებისა და ყალბი დიდების წყურვილმა ჩაკლა. პოეტის თვალწინ სათაყვანებელი არსება ხასად იქცა, პატიმარი სატრფო — შეცდენილ მონად. განა გასაკვირია ამის შემდეგ აკაკის სახოწარკვეთილი ამოძახილი: „სიცოცხლე არის მონება, სიკვდილი — განსვენებაო!“

თავისი დროის ერთი, ყველაზე უფრო ტკივილიანი პოეტი — აკაკი წერეთელი ერის ხსოვნაში დარჩა, როგორც. ღვთაებრივ სახეზე ღიმგადადენილი, სვებედნიერი მგოსანი — საქართველოს ბულბული. მხოლოდ მცირედნი თუ გრძნობდნენ, რომ მტრის ჯიბრზე სახემომღიმარი აკაკი გულში ცრემლს იწურავდა — ცრემლს არა საპირადოს, არამედ „ქვეყნის ტანჯვის გამომხატველს“.

არ მშორდება მწუხარება და
ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი,
არ ვტირი!

მოჩვენებითი უდარდელობით თუ თავდავიწყებით გაჯაოიდა მგოსანი, „კარგი გული“ კი უმალვე გრძნობდა, რომ ეს იყო მწუხარებით ცრემლგამშრალი კაცის სიცილი. ტიტანიური ნებისყოფა იყო საჭირო, რომ ხამშობლოს, ერის საბეროებისათვის პიროვნებას გარემოებით ნაკარნახევი ნიღაბი მიეღო და ბუნებრივად ეტარებინა. ეს მძიმე როლი აკაკი წერეთელმა იკისრა, პოეტმა, რომელიც მთელი სიცოცხლე ადამიანურ სიყვარულსა და სითბოზე, მეგობრულ მხარდაჭერასა და თანაგრძნობაზე ოცნებობდა. მხოლოდ ერთხელ წასცდა ერის მეთაურს: „მაგრამ კაცი ვარ მეც, ხორცშესხმულიო“. ამ ამონაკვეთში ჩანს მთელი აკაკი — ბუნებით კაცი, ადამიანი, მაგრამ ხამშობლოს სიყვარულისათვის მაცხოვარივით ტანჯვის ჯვარზე გაკრული.

აკაკის სიყვარული ხამშობლისადმი განუზომელია, მაგრამ იგი არ იყო გონებადაბინდული მიჯნურის ბრმა სიყვარული. პოეტისათვის, რომელსაც ჩანგური სიმართლის მსახურებისათვის ეპყრა ხელთ და არა მუნჯის მჭვერმისა თუ ბეცის შორსმჭვრეტელობის საქმრად, არც წინასწარმეტყველის მამხილებელი ტონი იყო უცხო. „მაგრამ ჯერ ბრმა ხარ, ისრაილ, ვერ ხედავ ვერაფერსო და მტერი აღარ გგონია, ვინც დღეს მოყვარულად მღერხარ!“ — ასე გოდებდა ქართველი იერემია.

აკაკის მებრძოლის სული ჰქონდა. მისი ხევდა ტკივილის გამოხატვის ფორმა იყო, ხოლო ტკივილი სიცოცხლეს, არსებობას ნიშნავდა გაუტკივარებისა და კვდომის საპირისპიროდ. მას შეეძლო სევდა მოქმედებად გარდაექმნა. ტკივილი ბრძოლის თავდავიწყებაში დაეთრგუნა და სულიერად ანთებულიყო. მის პოეზიაში ჩანს სიმართლისა და სინათლის მაძიებელი პიროვნების ლტოლვა თავისუფლებისაკენ, რომლის გარეშე სიცოცხლე არად მიაჩნდა. ხალხის გამოღვიძების მომლოდინე აკაკი გულმხურვალედ გამოეხმაურა თავისი დროის დიდ აზვირთებას, როცა ომახიანად დაიძახა:

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს,
სისხლით შეღებავ ქაღარასო...

სისხლში განბანვა მისთვის სულიერი განახლების მისტერია იყო, რადგან ღრმად სწამდა: „წყალი ხორცსა ბბანს და სისხლი სულსა“...

აკაკის ლექსი ხაოცარია თავისი სისადავითა და გამჭვირვალებით. მეტრის არტახებში მოქცეული მისი მეტყველება უჩვეულო ბუნებრიობას ინარჩუნებს. აკაკი თითქოს ლექსად ფიქრობს და მეტყველებს. ჩვენ ვგრძნობთ, როგორ ბუნებრივად გადადის ქართული ენა პოეზიის საუფლოში.

პუშკინის პოეტური ხელოვნებით განცვიფრებული ლევ ტოლსტოი ამბობდა: პუშკინთან ვერ ვგრძნობ ლექსს. მიუხედავად იმისა, რომ აქ საზომიცაა და რითმაც, ვგრძნობ, რომ ამის სხვაგვარად თქმა შეუძლებელიაო. ასეთია აკაკის პოეზიაც — პოეტი უბრალოდ, უშუალოდ გვესაუბრება, მისი მეტყველება კი, რაღაც ჯადოსნობით, ლექსის ფორმად ჩრისტალდება. ეს ბუნებრიობა ანიჭებს აკაკის ლირიკას სიწრფელესა და დამაჯერებლობას.

...აკაკი წერეთელმა პიროვნების უწმინდეს მოვალეობად სამშობლოს სამსახური გამოაცხადა. „და ადამიანს რა აამაღლებს, თუ არ მისივე წმინდა სამშობლო?!“ — გადასძახა მან მომავალ თაობებს და თავისი ცხოვრებითა და ღვაწლით ცოცხალი მაგალითი დაუტოვა შთამომავლობას. მშობელი ხალხისათვის ანთებული და ლექსებად ჩამოკენილი მისი სული კვლავაც ტრიალებს საყვარელ მამულში, მისი უკვდავი შემოქმედება კი

იქნება ჩვენთვის, იქნება
ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და
მარად!

დიდი პოეტი — თეატრის ხელმძღვანელი

ვასილ კიკნაძე

ისტორიამ ერთბაშად მეტად ბევრი საქმე დაავალა ილიას და აკაკის. მათ მხრებზე დაიწვათ მთელი საქართველოს ჭირი და ლხინი. ყველაზე ძნელი მაინც ქართული სულის გადარჩენა იყო. მწერლობას და თეატრს უნდა შეეხსულებინა ეს მისია. ამ ორ ფრთას მიჰყავდა ქვეყანა განახლებისაკენ. ილიას და აკაკის მზერაც მათკენ იყო მიმართული.

ქართული ენის უმოწყალოდ დევნის ჟამს აკაკი ხალხს აფრთხილებდა: „მხოლოთ ერთადერთი ასპარეზი დაგვრჩენია — თეატრი, საიდამაც შეგვიძლია გავიგონოთ დედა-ენა: ის ენა, რომელზედაც მუსიკობდა რუსთაველი, ბრძანებლობდნენ თამარები, რომელზედაც ჭაბადაგებდნენ ნინოები და რომელზედაც წამებულნი სიმდაბლით ღმერთს ადიდებდნენ ქეთევანები და მათი მსგავსნები!“

ეს ითქვა ერთი საუკუნის წინ. მაშინ დაიწერა ილია ჭავჭავაძის სტრიქონებიც: „მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს“.

აკაკი იყო თეატრის დრამატურგი, კრიტიკოსი, რეჟისორი, ხელმძღვანელი. თეატრი ტაძარიაო, ამბობდა და კარგად იცოდა, რომ ეროვნულ ტაძარს მსხვერპლშეწირვა უნდოდა.

აკაკის დიდი თეატრალური ღვაწლიდან მარტო ერთს — რეჟისურას გამოვყოფთ. გასული საუკუნის ქართულ თეატრში რეჟისურა ახლად იდგამდა ფეხს. აკაკიმ ბევრი რამ იწინასწარმეტყველა, ბევრი სპეციფიკური პრობლემა წარმოაჩინა. მან სხვა მოღვაწეებთან ერთად ნიადაგი შეუმზადა რეჟისურის დამოუკიდებლობას, შეუქმნა მას გარკვეული იდეოლოგია, ზოგჯერ პირდაპირ გაოცებას იწვევს იმდენად ზუსტი რეჟისორული აზროვნებაა მასში. სპექტაკლის მთლიანობაში დანახვა, მისი რთული სინთეტური ბუნების გრძნობა რეჟისურის კარდინალურ პრობლემებს უკავშირდებოდა.

აკაკის რეჟისურულ ნააზრევში — ერთ-ერთი არსებითი იყო „გასპეტაკებული“ ქართული მეტყველება. იგი მსახიობისგან მოითხოვდა: 1. როლების გაზეპირებას, რომ კარნახის იმედით აღარ ყოფილიყვნენ. 2. პიესების მთავარი აზრის შეგნებას, 3. თავთავისი როლების დაკვირვებით შესწავლას. 4. რეჟისორის სურვილთან მათი სურვილის შეთანხმებას, რომ აღარავის ეთქვა: „ეს დიდი როლია“. „ეს პატარა“, „ეს შემშვენის“, „ეს არაო“, „ამას ვითამაშებ“, „ამას არა“. — ხელოვნება მშვენიერებაა და მშვენიერებამ კი თავისთავად დიდი და პატარა არ იცის“.

აკაკის მოითხოვნები თავისი დროის რეჟისორის (და საერთოდ თეატრის!) აქტუალური პრობლემები გახლდათ. ეს არის საკითხების ფართო წრე, რომელიც განსაკუთრებით აღელვებდა ქართულ თეატრს: თეატრის საფუძველი რეპერტუარია და აკაკიც უპირველესად მასზე ზრუნავდა. შეუძლებელი იყო დიდი ეროვნული ფუნქციის შესრულება, თუ თეატრს არ ექნებოდა რიგიანი რეპერტუარი. მსახიობს კი კარგად უნდა შეეგნო „პიესების მთავარი აზრი“. უკვე ცოტას ნიშნავს იცოდეს როლი, მისი მოვალეობაა შეისწავლოს პიესის ავკარგიანობა, ღრმად ჩასწვდეს მის აზრს. რის თქმა უნდა დრამატურგს, რა პრობლემას სვამს თავისი პიესით, რა ყანრს ეკუთვნის პიესა, — ყველაფერი ეს თეატრალური მოვლენის ერთი მხარეა, მეორეს მხრივ, საქმე ეხება პიესის რეჟისორულ გადაწყვეტას. რამდენად საინტერესოდ გამოხატავს იგი სცენაზე მწერლის ჩანაფიქრს, რა ფორმებით და საშუალებებით ავლენს თეატრის მხატვრულ პოზიციას — ეს არის დრამატული ნაწარმოების უბრალო ინტერპრეტაციიდან რეჟისორული აზროვნების სიღრმეებისაკენ სვლა.

სულ უფრო და უფრო რთული ფენომენი ხდება პიესის დამდგმელი. აკაკი წერეთელმა იცის, რომ თანამედროვე თეატრს უკვე აღარ აკმაყოფილებს ის, რასაც იგი აკეთებდა ათი თუ ოცი წლის წინათ. თანდათან ისტორიას ბარდება ის დრო, როცა ძველი წარსულის ამხსნელი ნაწარმოებების დადგმებში თითქმის ნიველირებული იყო სხვადასხვა საუკუნეთა განსხვავებანი. მაშინ, როდესაც „ერთი საუკუნე მეორეს აღარა ჰგავს“, „სცენა ვალდებულია, რომ სხვადასხვა ისტორიული ეპოქის გათვალისწინების დროს სინამდვილეს არ უმტყუნოს“. აკაკი აქ პირველ რიგში წარმოდგენების სცენოგრაფიას გულისხმობს. მოითხოვს სპეკტაკლის მხატვრობის დონის ამაღლებას. მან კარგად იცის, რომ ქართული სცენა დიდ გაჭირვებას განიცდის და ხშირად ისტორიული პიესის დადგმა „მოუხერხებელია სიღარიბის გამო“, მაგრამ პრობლემის გაჭრის აუცილებლობა უკვე შეგნებული აქვს თეატრსაც და მაყურებელსაც. მომწიფებულია აზრი, რომ სპეკტაკლში დიდი როლი ეკუთვნის მხატვრობას. აკაკი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობაა ევროპის თეატრებში. „უცხოეთში ერთ პიესას რომ დადგამენ, მთელ ხეზონის განმავლობაში სულ ყოველდამ იმასვე აღადგენენ“. ეკონომიური ეფექტის გარდა მას პროფესიონალური ოსტატობის თვალსაზრისითაც ჰქონდა მნიშვნელობა. აკაკის მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ „სხვა ქვეყნების არტისტები ერთ პიესას რომ მოამზადებენ ათასი და ასის რეპეტიციით, მერე დიდხანს შესვენებული არიან“.

აკაკი წერეთელი მკაცრად აკრიტიკებს სპექტაკლის თვითმიზნურ დადგაწყვეტას. განსაკუთრებულ უურადღებას აქცევს ფორმას. უდეო, ანსტრაქტულ წარმოდგენებს იგი დეკადენტურს უწოდებს, მოითხოვს სცენურ სიმართლეს, დამაჯერებლობას, ადამიანის სულიერი ცხოვრების გადმოცემას. ამ მხრივ მეტად საინტერესოდ გვეჩვენება მისი აზრი გ. წერეთლის პიესის „ოჯახის ასულის“ დადგმის შესახებ. „პიესა ისე ჩინებულია,—ამბობს აკაკი, — რომ დღესაც კიდევ შეიძლება მისი წარმოდგენა, მაგრამ მაშინდელმა კრიტიკოსებმა წუნი დასდვეს, პიესაში მოძრაობა ცოტა არისო და ჩაუმატეს პიესაში უხმო პირები, რომელნიც მოქმედების დროს გარბოდნენ და გამორბოდნენ სცენაზე. რასაკვირველია, პიესა გააფუჭეს და მერე აღარ უთამაშიათ. ამას წინათ „ივერიაში“ წერილი იყო ვიღაცისაგან დაბეჭდილი და ეს ვაუბატონი, რომელსაც სულიერი მოძრაობა და ხოლიერი კუნტრუში ვერ განურჩევია, შესანიშნავ რეჟისორად ჰყავს მოსენებული“.

აქ რეჟისურის სერიოზული ტრაბლემაა დასმული. ცალკე უნდა გამოიყოს ოთხი საკითხი. პირველი: აკაკი წერეთელი დამდგმელისაგან მოითხოვს პატივი სცეს დრამატურგის შრომას, თვითნებურად არ შეცვალოს ტექსტი. მაშასადამე, საქმე ეხება პიესასთან რეჟისორის მიმართების პრობლემას.

მეორე: აკაკი წერეთელი ეხება თეატრალური ხელოვნების სპეციფიკის არსებით მხარეს, — მოქმედების პრობლემას. ფიზიკური მოძრაობისა და ნამდვილი სცენური მოქმედების გამიჯვნით იგი თეატრის ურთულეს სპეციფიკურ საკითხს იხილავს და ზუსტ ორიენტირს აძლევს მსახიობს. მისთვის, როგორც რეჟისორისთვის, სცენაზე მთავარია მსახიობის მოქმედება, აზრიანი, მიზანშეწონილი ფიზიკური ქცევა და არა „ხორციელი კუნტრუში“. „სულიერი მოძრაობა“— აი, რა არის მსახიობისთვის მთავარი, მასშია განფენილი თეატრალური ქმედობის არსიც. მესამე: აკაკი წერეთელს რეჟისორის დიდ შეცდომად მიაჩნია ის, რომ სცენაზე სანახაობისა და რიტმის შექმნის ილუზიისათვის ჩაამატა ადგილები, რომელთაც მხატვრული ფუნქცია არ გააჩნდათ. მეოთხე: აკაკი წერეთელი აკრიტიკებს თეატრის რეცენზენტებს, რომელიც სწორ ორიენტაციას არ აძლევს მაყურებელს. რეჟისორს უქებს იმას, რასაც ნაკლად უნდა მიიჩნევდეს.

როცა აკაკი წერეთელი სათავეში ჩაუდგა თეატრს, მან თავის დასს შემდეგი ამოცანა დაუსახა: „უნდა გადალახოთ ჩვენი პიესები და რაც სახარებელო არ არის, გამოიცვალოს რეპერტუარიდან. ენა გასწორდეს. რეჟისორმა ერ უნდა წაუკითხოს არტისტებს თავადან ბოლომდე პიესა. გაიცნონ ფერადი-ფერი, ფასადი ამოიუდი. მოქმედი პირის ხასიათი და ყველაზე მნიშვნელოვანი — როლი წაუკითხოს, რომელიც მის ნიჭს შეშვენის. მოთამაშეებმა ჯერ უნდა გაიზეპირონ თავთავიანი როლები და მერე დაიწყონ რეპეტიციები. ინტრიგებისა და კოლისებში მითქმა-მოთქმას ერიდონ და კლაკიორების იმედით არ იყონ ხოლმე“.

აკაკის ფართო ამოცანა აქვს დასახული, მაგრამ აქ თითქმის არ არის არც ერთი ისეთი საკითხი, რომ ყველა დროის თეატრისათვის არ იყოს მნიშვნელოვანი. აქ არის რეპერტუარის, მსახიობის აღზრდის, რეჟისურის, თეატრის შემოქმედებითი ატმოსფეროს, მსახიობთა ურთიერთობის, მაყურებლის საკითხები. ყველა მათგანი კი პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით დაკავშირებულია რეჟისურის პრობლემებთან.

მსოფლიო მწერლობის ისტორია თეატრისაგან განუყოფელია. დიდი მწერლები მუდამ ახლოს იყვნენ თეატრთან. ეს გასაგებიც არის (რაღა დიდი მწერალი იქნება თუ გულგრილად შეხედავს ეროვნულ კერას?!..), მაგრამ მაინც სხვა ტკივილით უკავშირდებოდა თეატრს ქართული მწერლობა.

აკაკი ხაინტერესო რეჟისორიც იყო. კარგად ესმოდა რეჟისორის ისტორიული როლი, თეატრში დადგა რეჟისურის საუკუნე — მისი ერთ-ერთი წინამორბედი აკაკი წერეთელიც იყო.

სულმნათი

ემზარ კვიტაიშვილი

აკაკი რომ ბოლომდე გაიგო და შეიგრძნო, სხვა თვისებების გარდა, მოწიფულობის ასაკი და ცხოვრებისეული სიბრძნეა საჭირო. ხალხურ ძარებზე აკაკიზედ მის გენიას თავდაბალი დაჰყვა ეს სიბრძნე. და შემოქმედებითი პრინციპების ძებნა თითქმის არც დასჭირვებია, უმალ განსჭვრიტა ყველაფერი.

სამყაროსადმი პოეტის მიდგომა გამოკვეთილია მის პირველსავე შედევრში „საიდუმლო ბარათი“. აქ ისევე, როგორც მთელ მის უმდიდრეს შემოქმედებაში, აკაკის ოსტატურად აქვს მომარჯვებული კონტრასტის უძველესი და უბერებელი ხერხი. მჭმუნვარე ჭაბუკს ხან ანგელოზის სახე დაუდგება თვალწინ, ხანაც სატანა ელანდება. სატრფოს ხელით ნაწერი ბარათი ერთდორულად „სიხარულის მომნიჭედ და სევდისა ფარად“ მიუჩნევია. უბეში შენახულ ნანატრ წერილს, გარდა უბედნიერესი წუთების მოტანისა, უამური ფიქრების მოგერიებაც ძალუძს.

განსხვავებული საწყისების, საპირისპირო ცნებების ერთ მთლიანობაში მოქცევა ურთულესი საქმეა და ამას არაერთი მწერალი ესწრაფვოდა: კერძოდ, ჰერმან ჰესე ერთ-ერთი რომანის („ოთაგარაკე“) ბოლოს გულსტკივნეული აღნიშნავდა — ცხოვრების მელოდიის ორხმოვანების ქაოსადმი გადადგანს ვერასოდეს ვერ ვახერხებო. აკაკის ნამდვილად არ ეთქმოდა თავის თავზე ასეთი საუბედური.

ესპანური ბაროკოს თეორეტიკოსი გრასიანი, როცა, ერთის მხრივ, ანალოგიას მშვენიერების წყაროდ მიიჩნევდა, იქვე დასძენდა, რომ თუ მოხერხდა და კონტრასტი „მახვილი აზრით გადმოიცა, ეს იქნება სრულყოფილების მწვერვალი“.

თამამად შეიძლება ითქვას — ასეთ უნარს ძალზე ხშირად ამჟღავნებს „სულიკოს“ და „ციცინათელას“ ავტორი. აკაკი ისე ბუნებრივად და სხარტად აკავშირებს პოლარულად დაცილებულ მოვლენებს, რომ მის ნახელავს არასოდეს ემჩნევა ნაძალადეობის კვალი.

საქართველოში არ მოიძებნება მეორე პოეტი, ვინც ასე თამამად ენდობოდეს ყოველგვარი ხამკაულებისაგან თავისუფალ, შიშველ სიტყვას და ვის ლექსსაც ამდენი ზემოქმედების ძალა გააჩნდეს.

გასაოცარი, მოჩვენებითი სიმარტივე პირდაპირ გულისკენ იკვლევს გზას და ჩვენს წარმოსახვასაც აფორიაქებს. დავაკვირდეთ, როგორ არიგებს აკაკი ფრთების გასაშლელად გამზადებულ ყმაწვილ ჭალს.

„ყველა სნეულებაზე სიყვარული ძნელია, შეყვარებულისათვის ნათელიც კი ბნელია“.

მცირედი სიტყვიერი საშუალებით რამდენი რამ არის მიღწეული. ასეთ უკიდურესობათა გადაკვეთაზე ძაბვა უმაღლესია და გამოხატული აზრიც უჩვეულო ელვარებას, დამაბრმავებელ სიკაშკაშეს იძენს.

ამა თუ იმ სიმბოლოსა და მეტაფორას აკაკი, ჩვეულებრივ, იქვე შიფრავს, მაგრამ ამით ოდნავადაც არ აკლდება მომხიბლაობა მის სტრიქონებს. „ნათელას სიმღერაში“ თავიდანვე ნახსენებ ჩანგურს ორიოდე სტროფის შემდეგ მთელი სიგრძე-სიგანით წარმოგვიჩინეს პოეტი:

„ჩანგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო...“

ამგვარი „განმარტებანი“ პოეტურ სახეს მეტ მახვაბაურობას აძლევს, ახალი შარავანდედით მოსავს.

აკაკის არსებაში, მთელი თავისი ნაკლითა თუ ღირსებით, საქართველოა პერსონიფიცირებული. იშვიათია პიროვნება, რომლის ცხოვრება ასე იყოს გადაწნული თავისი ერის ბედთან.

სტუმრად მყოფ აკაკის რომელიმე კეთილი ბანოვანის ალბომში შეეძლო სახელდახელოდ ჩაეწერა ურეოლის დამცემი აღსარება:

„მთელი ჩემი ცხოვრება ტანჯვაა და ვაება, ამირანის ჯაჭვებით დამამული უკვდავება“.

აკაკის გარდა უბრალო ლაღობით ვინ ეტყოდა ლამაზ ქალს ასეთ ფანტასტიურ სტრიქონს: „ხიზრად ვნახე შენი გული“... რამდენი ასეთი მარგალიტია გაბნეული მის ზღვა პოეტურ მემკვიდრეობაში.

არაერთი საგანგებო გამოკვლევა დაწერილა იმის ნათელსაყოფად, თუ რა ღრმად იცნობდა აკაკი ძველ ქართულ ლიტერატურას. ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტს აღვნიშნავთ. „თორნიკე ერისთავის“ დასკვნით ნაწილში, სადაც ქართველი ბერის გაბრიელ-ხალოსის მიერ ღვთისმშობლის ხატის ზღვიდან ამოღებაზეა ნათქვამი, ვფიქრობთ, აკაკის ერთ-ერთ წყაროდ უნდა ჰქონდეს გაბოყენებული ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ სათანადო თავი—„მისლვა მონასტრად ხაქართველოთასა კარისა ღმითისმშობელად“. ამაში გვარწმუნებს სასწაულმოქმედ ხატთან დაკავშირებული ზოგიერთი მსგავსი დეტალი, „მიმოსლვის“ ტექსტსა და პოემის შესაბამის ეპიზოდში რომ შეინიშნება.

დღეს ყველასათვის ცხადია — აკაკის პოპულარობას ულრმესი ფესვები აქვს და ამას მოდურ გატაცებასთან არასოდეს ჰქონია საერთო. ის აუხსნელი ჯადო თუ იდუმალება, აკაკის პოეზიას ანდამატის მიმზიდველობას რომ აძლევს, ზღვრდაუდებელია და დროის ჩარჩოებში არასოდეს მოექცევა.

აკაკისნაირად არავის დაუხატავს გარეულ და შინაურ მტერთაგან დაცემული და გასაოცდავებული ხამშობლო, მაგრამ მანვე შექმნა უძლეველი შურისძიებით ანთებული, ხაქართველოს თავისუფლებისა და ბედნიერების უკვდავი სიმბოლო — ნათელა.

შთამომავალთათვის რა უნდა იყოს იმაზე ხაპატი, რომ ემსახურებოდე და დღითიდღე აძლიერებდე მშობელ ქვეყანას, აკაკის თვალებზე მომდგარ წმინდა ცრემლში რომ ირეკლებოდა.

დაბრუნება

გივი გეგეჭკორი

აკაკის როცა ვკითხულობთ, ჩვენ ვართ უფრო წმინდა, უფრო კეთილი, უფრო უფრო ყველაფერი. აკაკი ჩვენ ცხოვრებას გვიმსუბუქებს.

განსაკუთრებით ძვირფასია აკაკი ჩემს ასაკში. როცა აკაკის ჩემი ასაკის კაცი კითხულობს, იგი თითქოს მეორედ მოდის, იგი თითქოს დასაყრდენია ცხოვრების ავ-კარგს მიხვედრილი და შეშფოთებული კაცისა. იგი თითქოს ვარსკვლავია, რომელიც ცაზე გეგულება და გზა რომ გააგრძელო, ზვეით აიხედავ და ის ვარსკვლავი იქ დაგხვდება, სადაც ამ ვარსკვლავის ადგილია და სადაც ის უნდა იყოს...

როცა ახალგაზრდობაში აკაკის ვკითხულობთ, იგი გვხიბლავს და ბედნიერები ვართ, მაგრამ ეს ბედნიერება უფრო აკაკის ლექსით თრობაა, თრობის ბედნიერებაა. ახლა ჩემთვის აკაკის ლექსით მონიჭებული ბედნიერება გააზრებულია.

„ლიტერატურულ საქართველოში“ 1974 წლის 20 დეკემბერს გამოქვეყნებულ წერილში „გადაუდებელ საქმეს ნუ გადავდებთ“ სარგის ცაიშვილთან ერთად დავსვით საკითხი თამარაშენში დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის გახსნის აუცილებლობაზე. ახლა ამ წამოწყებას უკვე სასიკეთო პიროვნული ბედნიერებაა.

მწერლის ფოტოარქივიდან

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთლის ყოველი ახალი გამოცემა ზეიმია ქართველი მკითხველისა, ყოველი ახალი შეხვედრა დიდ პოეტთან, ყოველი ახალი წუთი დიდ პოეზიასთან ზიარებისა ბედნიერების გრძნობით აღავსებს მკითხველს.

თხზულებათა ახალი კრებული, რომელიც აკაკის საიუბილეოდ გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“, (შემდგენელი მურმან ლებანიძე) აერთიანებს აკაკის ლირიკას, პოემებსა და მოთხრობებს.

წიგნს ერთვის პავლე ინგოროყვას ცნობილი ნარკვევი „აკაკი წერეთელი“, რომელშიც ამომწურავადაა გაშუქებული დიდი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება, საქართველოს იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და აკაკის, როგორც პოეტისა და მოღვაწის როლი ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

გამოცემა გაფორმებულია აწ განსვენებული მხატვრის ლადო გრიგოლიას ნამუშევრების მიხედვით, ტირაჟი, 2000, თუმცა იმავე კრებულს უახლოეს ხანში მსოფლიო ლიტერატურის 80 ტომეულის სერიით 50000-ნი ტირაჟით მიიღებს მკითხველი.

●

იუბილეს მიეძღვნა კრიტიკოს გურამ ასათიანის ნარკვევი „აკაკი, პიროვნული იერი, ნაზრევი, პოეზია“. წიგნში, რომელიც საგანგებოდ ამ დღეებისათვის დაიწერა, და გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“, მოცემულია აკაკი წერეთლის პიროვნების ფსიქოლოგიური ანალიზი, პოეტის შემოქმედება, როგორც ქართველი ერის თვითმყოფადი ბუნების გამოვლინება, აკაკის ღვაწლი მშობლიური პოეზიისა და კულტურის წინაშე.



აკაკის ერთი სურათის ისტორია

დავით შულიაშვილი



აკაკის ცნობილ ფოტოსურათს, ბავშვობიდანვე რომ გვახსოვს, თითქმის ყველა სახელმძღვანელოსა და პოეტის კრებულებში რომ იბეჭდება, თავისი ისტორია აქვს. სურათი გადაღებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში, ცნობილ მხატვარ-ფოტოგრაფ ალექსანდრე როინიშვილის მიერ. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ იოსებ იმედაშვილი: „საოცარი იყო აკაკის ბუნება: ეს დიდი გვარის კაცი (თავად როსტომ წერეთლის შვილი), მილიონერის სიძე, ერის საამაყო მგოსანი, რუსეთსა და ევროპაში განთქმული, რომლის სტუმრობას რომის პაპიც კი დიდის სიხარულით და კრძალვით ელოდა, დიახ, ეს დიდი კაცი განსაკუთრებით გლეხკაცობასთან რჩებოდა საუბარს, ერთხანს შინა მოსამსახურედ (უფრო თანამგზავრად) რაჭველი გლეხი ვასილ კორვალიძე ჰყავდა, ზაქარია ჭიჭინაძისა ხომ განუშორებელი მეგობარი იყო.

ერთხელ აკაკიმ ზაქარია ძალით წაიყვანა და მასთან ერთად სურათი გადაიღო (პირისპირ სხედან), რასაც ზაქარია სწუხდა: რა იმისი შესადარი ვარო“...

ი. იმედაშვილი შემდეგ იგონებს, თუ როგორ შეხვდნენ აკაკის გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე: „ეს ისე ჩქარა მოხდა, რომ ჩვენ სალამი ვერ დავასწარით (აკაკის)...

— სხვა, რასა იქთ შენ და შენი აჭარა? — შეეკითხა... ზაქარიას.

— კაი ხანია არ ვყოფილვარ, გიახლებით და დაბრუნებისას მოგახსენებთ.

— „კაი ხანიაო“, მაინც რამდენი დღეა ეგ შენი „კაი ხანია?“

— კვლავ შეეჭიმა აკაკიმ.

— ერთი-ორი თვე.

— ბარემ იქვე დასახლდი, ჩემო ზაქარია.—ღიმილით უთხრა აკაკიმ, შემდეგ დაუმატა: ისეა, ჩვენი ერის გამთელებისათვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ.

შემდეგ ზაქარიას მკლავში ხელი გაუყარა და სიტყვა განაგრძო: — რა სიტყვის პასუხია, ზაქარია, და აი რა უნდა გითხრა.

— მიბრძანე.

— ერთი ცოტახანს გამომყე, შენთან ერთად სურათი უნდა გადავიღო... ეგები ეკვდები და არ მინდა ეს ჯვარი სამარეში ჩამყვეს.

— რას